სარჯიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 6 ოქტომბერი 2006 №231 (2853) ფასი 50 თეთრი

ძოგა ინასარიძე როსტოკიდან

ტოპმიოლერს მნახველი და საფიქრალი არ აკლია: საქართველოს აგრესია აკლია

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გუშინ ჟურნალისტებს ვერ აუდიოდა. რაც თავად ვნახე, ათი ინტერვიუ ჩემ თვალწინ მისცა. იყვნენ გერმანული ტელეკომპანიებისა და ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები, იყვნენ ინგლისელი და რუსი კოლეგები — ტოპმიოლერი უარს არავის ეუბნებოდა და სიამოვნებით ესაუბრებოდა. მერე გავიგეთ, რომ ტელეკომპანია ZDF ხვალინდელ მატჩამდე საქართველოს ნაკრების შესახებ ერთსაათიან ფილმს შესრავაზებს მაყურებელს. ფილმში მოთხრობილი იქნება საქართველოზე, ქართულ ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე და, რა თქმა უნდა, კლაუს ტოპმიოლერის საქართველოში ჩამოსვლასა და მუშაობაზე. მოკლედ, ნაკრების მწვრთნელს გუშინ საკმაოდ მძიმე დღე ჰქონდა, თუმცა სალამოს შეგირდებთან ერთად ცოტას კი ამოისუნთქავდა — ნაკრები საათნახევარი გემით ბალტიის ზღვაზე ხალისობდა.

ნაკრებს როსტოკის „ჰანზასთან" გუშინდელი მატჩის შემდეგ აღარ უვარჯიშია, მხოლოდ კალაძე, კვირკველია, ხიზანიშვილი, მენთეშაშვილი და კობიაშვილი იყვნენ გუნდისგან ცალკე და მათ მსუბუქი დატვირთვა მიიღეს. გუშინვე ასევე მსუბუქად აპირებდა ვარჯიშის განახლებას დავით მუჯირიც, თუმცა ექიმებმა ამის უფლება არ მისცეს. ის ალბათ დღესაც დაისვენებს, საჭირო პროცედურებს გაივლის და თუ არაფერმა შეაწუხა, საქმეს ხვალიდან შეუდგება. რა თქმა უნდა, გერმანიასთან მისი თამაში გამორიცხულია. გუნდი კი დღეს ისევ ორჯერ ივარჯიშებს, დილით როსტოკის ერთ-ერთ მოედანზე, ხოლო სალამოს რვა საათიდან „ოსტსეეშტადიონზე", სადაც გაიმართება კიდეც გერმანია — საქართველო. ჩვენებამდე კი სამატჩო სარბიელს გერმანელები მოსინჯავენ. იოახიმ ლიოვს შეგირდები ბერლინიდან როსტოკში დღეს ჩამოჰყავს, ხუთ საათზე კი ვარჯიში აქვს დაგეგმილი. როგორც გვითხრეს, ეს ვარჯიში ჟურნალისტებისთვის ღია სულ 15 წუთი იქნება.

მიმდინარე და სხვა სანაკრებო ამბებს კი, აგერ, ტოპმიოლერის ინტერვიუდან უკეთესად შეიტყობთ. მწვრთნელმა ჩვენი უცხოელი კოლეგები რომ გაისტუმრა, მერე რამდენიმე წუთი ჩვენც დაგვითმო...

— ძალიან რთული მდგომარეობაა, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს, უნდა ვითამაშოთ და ჩვენი საუკეთესო თვისებები წარმოვაჩინოთ. გერმანიასთან თამაში ხომ ისედაც ძნელია და, მით უმეტეს, ახლა გაგვიჭირდება, როცა არველაძე, ასათიანი და მუჯირი დაგვაკლდებიან. მნიშვნელობა არ აქვს, გერმანია ჩვენ წინააღმდეგ როგორი შემადგენლობით ითამაშებს, ეს შეხვედრა ყველა შემთხვევაში საქართველოს ნაკრებისთვის სასარგებლო გაკვეთილი უნდა იყოს.

— შოთას არყოფნაში ცენტრფორვარდად ვის დააყენებთ?

— ჯერ ვერ გეტყვით. ისე კი, შოთამ შესაძლოა, მომავალ ციკლში საერთოდ აღარც ითამაშოს და სამომავლოდ დიდ პრობლემას წავაწყდებით. ასეთი დონის ფეხბურთელი ჯერ არავინ ჩანს. თუმცა ვეძებთ და ყოჩაღ თავდამსხმელს ალბათ ვიპოვით კიდეც.

— კობიაშვილი, დემეტრაძე და გოგუა იტალიასთან ვერ ითამაშებენ. გერმანიასთან?

— ისინი გერმანიასთან ითამაშებენ, მათ გარდა კი შაბათის მატჩში კიდევ რამდენიმე ის ფეხბურთელი იქნება, რომლებიც „ჰანზასთანაც" მოედანზე იყვნენ.

— „ჰანზასთან" მეორე ტაიმში გიგიაძე საყრდენ ნახევარმცველად რატომ ათამაშეთ?

— კობი და გოგუა იტალიასთან არ იქნებიან და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ფეხბურთელს ვეძებ. გიგიაძე ჯანმაგარი ფეხბურთელია, ბურთს კარგად ფლობს, ვიფიქრე, ეგებ ამ პოზიციაზე გამოგვადგეს-მეთქი.

— რას იტყვით, გაამართლა?

— მოდით, ეს ჩემი საიდუმლო იყოს.

— ამისულაშვილმა, გრიგალაშვილმა და მოდებაძემ თქვენს გუნდში პირველად ითამაშეს...

— ამისულაშვილს მატჩის შემდეგ ვესაუბრე. აშკარად ჩანს, რომ მას აგრესია აკლია, მაგრამ შეუძლია, კალაძისა და ხიზანიშვილის გვერდით ბევრი ისწავლოს. მოდებაძემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, სახიფათო თავდამსხმელია, გრიგალაშვილს კი ორი ისეთი თვისება აქვს, რაც ბევრი ქართველი ფეხბურთელისგან გამოარჩევს — აგრესიულია და თან ბურთს კარგად იმორჩილებს.

— „ჰანზასთან" მატჩით კმაყოფილი ხართ?

— ცუდი ის იყო, რომ გუნდს აგრესიულობისა ვერაფერი შევატყვე, უამისოდ კი მომავალში არაფერი გამოგვივა. თუმცა მთლიანობაში მაინც კმაყოფილი ვარ.

— ერთიც. როგორი ტაქტიკითაც გერმანიასთან ითამაშებს საქართველოს ნაკრები, ჩავთვალოთ, რომ იტალიასთანაც იგივე იქნება?

— დიახ. როგორ ტაქტიკასაც ავარჩევთ, გერმანიის წინააღმდეგ, დაახლოებით იგივე იქნება იტალიასთანაც.

— ანუ?

— ამას ახლა ვერ გეტყვით.

ბუქარესტი მეორე პარიზია

ხვალ სწორი ხაზის თამაშია! ორი ნერტილი, საქართველო და მსოფლიო თასი: უმოკლესი მანძილი გამარჯვებაა

დღეს დილით საქართველოს მორაგბეთა ნაკრები საფრანგეთიდან რუმინეთში ჩავიდოდა, სადაც ხვალ საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს მასპინძელთა გუნდთან.

ბოლო ათწლეულში უპრინციპულეს მეტოქეებად ქცეული ორი ნაკრების ხვალინდელ ბუქარესტულ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — გამარჯვებული, ფაქტობრივად, ინაღდებს საფრანგეთში გასამართ მსოფლიო თასზე თამაშის უფლებას, ხოლო დამარცხებულს საამისოდ კიდევ გვარიანი ჯაფა დაადგება.

ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც შორიდან უნდა მოუარო და შინ მშვიდობით მიხვიდე. საფრანგეთისკენ მოკლე გზით სვლა სჯობს და ყველაზე მოკლე გზა სწორედ რუმინეთზე გადის, სადაც ეს 22-კაცა რაზმი გაემგზავრა:

შერკინება: *გოდერიძი შველიძე (კლერმონი, საფრანგეთი), დავით აშვეთია (მეტრო-რასინგი, საფრანგეთი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), ავთო კოპალიანი (მონტობანი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (ოში, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), ვიქტორ დიდებულიძე (მასი, საფრანგეთი), რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი), გია ლაბაძე (ტულონი, საფრანგეთი), ბესიკ უდესიანი (ვილფრანში, საფრანგეთი), ილია მაისურაძე (ნანტი, საფრანგეთი);*

უკანა ხაზი: *ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), გიორგი კაჭარავა (ვანი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ყოჩები, საქართველო), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი, საფრანგეთი), გიორგი შკინინი (ბლუა, საფრანგეთი), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი, საფრანგეთი), ბესიკ ხამაშურიძე (ენისეი, რუსეთი), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე, საფრანგეთი), ოთარ ბარკალაია (ანდორა, საფრანგეთი).*

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

გადარჩით, გადავრჩით

მთავარი მომენტი: ბევრი მომენტი

ძოგა ინასარიძის ფოტო

ძოგა ინასარიძე როსტოკიდან

კიულუნგსბორნი. 5 ოქტომბერი. 12.30 საათი. 400 მაყურებელი

ჰანზა 0:0 საქართველო

ჰანზა:	საქართველო:
ჰანელი, ლანგენი, მადსენი, ცვეტკოვიჩი, პიუგე, შტაინი, სებასტიენი, რადგები (რიდლევიჩი 67), შიდი (რაინი 65), ბიულოუ, იელენი	ლომაია (ჭანტურია 46), ღვინიანიძე, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი (ამისულაშვილი 46), გოგუა (იმედაშვილი 46), ცქიტიშვილი (გრიგალაშვილი 46), კანკავა (მარცვალაძე 46), აშვეთია (ა. იაშვილი 46), დემეტრაძე (ალადაშვილი 46), მოდებაძე, გიგიაძე
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი	მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

მსაჯები: ბ. დანკერტი; ე. ბაში, ტ. კრამპიკოვსკი (სამივე გერმანია)

როგორც მოსალოდნელი იყო, კლაუს ტოპმიოლერმა ამ ტესტ-მატჩში ყველა ის ფეხბურთელი ათამაშა, რომლებიც როსტოკიდან 30 კილომეტრით დაშორებულ კიულიუნგსბორნში წაიყვანა, ანუ 18 ფეხბურთელი.

მწვრთნელმა კალაძე, კვირკველია, ხიზანიშვილი, მენთეშაშვილი და კობიაშვილი სასტუმროში დატოვა და როცა სხვები „ჰანზას“ ეთამაშებოდნენ, ესენი ცალკე, სასტუმროს ახლომახლო დარბოდნენ. ტოპმიოლერი ამ ფეხბურთელების შესაძლებლობებში ბოლომდე გარკვეულია და გერმანიასთან შეხვედრის წინ მათ დატვირთვა აარიდა. „ჰანზაზე“ კი ის ვთქვათ, რომ ეს გუნდი, რომელიც დღესდღეობით მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერია და ბუნდესლიგაში გადასვლის პრეტენზია აქვს, საქართველოს ამ ექსპერიმენტულ შემადგენლობას საუკეთესო ფეხბურთელებით დაუხვდა, მწვრთნელმა ფრანკ პაგელსდორფმა ძირითადი გუნდი ათამაშა და, როგორც ნამატჩევს თქვა, საქართველოსთან შეხვედრა მისი გუნდისთვის სასარგებლო გამოდგა.

ტოპმიოლერმა თავის მრავალნაცად ტაქტიკურ სქემას ამჯერადაც არ უღალატა. დაცვაში ღვინიანიძე-შაშიაშვილი-ხიზანეიშვილი-გოგუა ათამაშა, ნახევარდაცვის შუაში ცქიტიშვილი-გიგიაძე-კანკავა, ცენტრფორვარდად მოდებაძე, შეტევის ფლანგებზე კი დემეტრაძე და აშვეთია. შესვენების შემდეგ მწვრთნელმა გიგიაძე საყრდენად გაამწესა, ხოლო მის ნაცვლად გამთამაშებლობა იაშვილს დაავალა.

მატჩი ტემპიანი და აზარტული გამოდგა, თუმცა უგოლობამ, რა თქმა უნდა, თამაშს თავისი კვალი დაატყო, არადა, ორივე კართან იმდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა, ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

შეხვედრა რამდენიმე მონაკვეთად შეიძლება დაიყოს — უპირატესობა ხან ერთ გუნდს ჰქონდა, ხან მეორეს, იყო შტურმი „ჰანზას“ კართანაც და მეორე ტაიმის დასაწყისში, 2-3 წუთი ბურთი ჩვენების საჯარიმოსაც არ მოშორებია. ამ სახიფათო მომენტების დათვლა კი მე-4 წუთიდან დავიწყეთ, როცა „ჰანზას“ თავდამსხმელი მარსელ შიდი ლომაიასთან ლამის პირისპირ დარჩა, მაგრამ ზუსტად დარტყმა ვეღარ შეძლო. სხვათა შორის, სწორედ შიდს კიდევ ორ-სამჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა არც მეკარეებმა გაატანინეს და თავადაც უხეიროდ ურტყამდა. მიზანი ვერც ჩვენებმა გაისწორეს, ცქიტიშვილმა და გოგუამ ბურთი კარს ააცილეს, ხოლო იმავ გოგუას ჩაწოდებულზე მოდებაძის თავური ჰანელმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია.

ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე მატჩის ყველაზე სახიფათო მომენტი ვნახეთ. „ჰანზა“ გადარჩა. ღვინიანიძემ, რომელსაც „მიუნხენში“ გადასვლის შემდეგ საგრძნობლად მოუმატებია და როგორც კლუბში, ისე ნაკრებშიც მარჯვენა მცველად ითამაშა, ცენტრის ხაზიდან მცველებს შუა ჩინებული პასი გაუკეთა დემეტრაძეს და მეკარესთან პირისპირ დატოვა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ დემეტ ბურთი განზე გაიგდო და მერე მახვილი კუთხიდან კარგად ვეღარ დაარტყა — ჯარისკენ მიმავალ ბურთს ჰანელი დაეწია.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებში მომხდარ ცვლილებებზე ოქმიდან შეიტყობთ და ტოპმიოლერმა როგორი გადაადგილებებიც გააკეთა, უკვე გითხარით. ჰოდა, ვიდრე შეცვლაზე შესული ქართველები გახურდებოდნენ და მოედანს გაუშინაურდებოდნენ, „ჰანზამ“ ისარგებლა და რამდენჯერმე მწვავე მომენტიც შექმნა. ერთხელ ჩვენებიც გადარჩნენ — ჭანტურიას ბურთი საჯარიმოდან ცენტრისკენ აჰქონდა, მაგრამ აეჭრა და ახლოს მყოფ ცვეტკოვიჩს მიუვიდა, მანაც მყისვე დაარტყა და ბედად — უზუსტოდ. თუმცა აქამდე იაშვილ-მოდებაძის ძალიან ეფექტური კომბინაცია იყო და „ჰანზას“ მაშინაც გაუმართლა. იაშვილმა ორი მცველი რომ ჩამოიშორა, მერე მოდებაძე მეკარეს შეატოვა, თავდამსხმელს კი ჰანელმა აჯობა და რთულად ასაღები აუღო. ერთი სახიფათო დარტყმული ჭანტურიამაც მოიგერია — იელენს გატანა არ დაანება, შორეული ძელისკენ გადახტა და ბურთი კუთხურზე გადაგდო.

ერთი სიტყვით, ტოპმიოლერის გუნდისთვის ეს მატჩი სასარგებლო გამოდგა, მწვრთნელმა მისთვის აქამდე უცნობი ფეხბურთელები ნახა, სხვადასხვა პოზიციაზეც მოსინჯა და ალბათ სათანადო დასკვნებიც გააკეთა.

ძოგა ინასარიძის ფოტო

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებს ალექსანდრე იაშვილმა (№9) უკაპიტნა

შოთა უკეთაა

სასიამოვნო ამბავი ალკამაარიდან: საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა შოთა არველაძემ გუშინ მსუბუქად ივარჯიშა და, როგორც თავად გვითხრა, მისი იტალიასთან თამაშის შანსებმა მკვეთრად იმატა.

შეგახსენებთ, რომ შოთა დახლოებით ერთი კვირის წინ თურქულ „ქაისერთან“ საუეფასთასო მატჩში დაშავდა და გერმანიაში მყოფ ნაკრებსაც ამის გამო გამოაკლდა.

საქართველოს ნაკრები გერმანულ პრესაში

საქართველოს სურს, წინ წაიწიოს

საფრანგეთი ჩავლილია, გერმანია — ცხვირწინაა, მსოფლიოს ჩემპიონი იტალიაც — დღე-დღეზე. „ჩვენ მსოფლიოს სამ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებით“ — განაცხადა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა.

როსტოკში გერმანიის ნარჩევ თერთმეტეულთან შეხვედრას საკმაოდ რთული მატჩი მოსდევს იტალიის წინააღმდეგ, რომელიც 11 ოქტომბერს თბილისში გაიმართება. მსოფლიოს სამ საუკეთესო გუნდთან შეხვედრას საქართველოსთვის ერთადერთი სარგებელი აქვს — სწავლა.

„ჩვენ გვსურს, წინ წავიწიოთ, რაც ამ მოკლე დროშიც შეეძელით“ — თქვა ბუნდესლიგის ყოფილმა მწვრთნელმა, რომელიც თავის გულშემატკივარს ერთს შეჰპირდა: „სან მარინოს მსგავსად 0:13 ნამდვილად არ გვემუქრება.“

მსოფლიო ფეხბურთის სცენაზე საქართველო პატარა, მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, თუმცა ცნობილი სახეები ნამდვილად არიან ამ გუნდში. ნაკრების ვარსკვლავი „მილანის“ მცველი კახა კალაძეა. „იგი შეუცვლელია“ — ამბობს ტოპმიოლერი 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულზე. შალკელი ლევან კობიაშვილი და მეკარეთა რისხვა, ამჟამად ტრავმირებული, ჰოლანდიური „ალკმაარის“ თავდასხმელი შოთა არველაძეც დიდ ძალას წარმოადგენენ.

„ჩვენ გვყავს საერთაშორისო კლასის შვიდი-რვა ფეხბურთელი, დანარჩენებზე კი იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყვი. ქვეყანაში, სადაც 4,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ძნელია მსოფლიო დონის თერთმეტი მოთამაშის პოვნა“ — თქვა ტოპმიოლერმა, რომელმაც საუკეთესოთა შორის მეორე ბუნდესლიგელები: ალექსანდრე იაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი („ფრაიბურგი“) და ასევე მათე ღვინიანიძე („მიუნხენ 1860“) დაასახელა.

ტოპმიოლერი იძულებულია, გაფანტული ფეხბურთელები მსოფლიოს ყველა კუთხეში ეძიოს. დღევანდელი ნაკრებიდან მხოლოდ მეკარე გრიგოლ ჭანტურია („ზესტაფონი“) და ნახევარმცველი შოთა გრიგალაშვილი („დინამო“) თამაშობენ საქართველოს უმაღლეს ლიგაში.

„იმის ნაცვლად, რომ საქართველოში 200 ევრო გამოიმუშავონ, მოთამაშენი ათმაგი ანაზღაურებისთვის სამშობლოს ტოვებენ და უკრაინასა და რუსეთს აფარებენ თავს, რაც უკვე საკმაო ნახტომად ითვლება საფეხბურთო სამყაროში. მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს უმართლებს და კიდევ უფრო დიდი ნახტომს აკეთებს — ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. დანარჩენებისთვის კი კარიერა აქ სრულდება“ — განმარტავს საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი.

ტოპმიოლერს მიაჩნია, რომ მისი გუნდი აღმავლობის გზაზე მყოფია, კვლავ დიდ პრობლემებს [illegible] სრიგი და დისციპლინა. „მათ გერმანული გამოცდილებაც აკლიათ“ — თქვა მწვრთნელმა, რომელმაც ევროშესარჩევში უკრაინასთან 2:3 დამარცხება მტკივნეულად განიცადა.

„იტალიას და საფრანგეთს ვერ გავუსწრებთ“ — განმარტავს ტოპმიოლერი, რომლის გუნდიც საფრანგეთთან საშინაო მატჩში 0:3 დამარცხდა.

ფიფას მსოფლიო რეიტინგში საქართველო 93-ე ადგილზეა: „ჩემი მიზანია, გუნდი 50-60 საუკეთესოს შორის გავიყვანო. ეს ნამდვილად წარმატება იქნება.“ ქართული ფეხბურთის უდიდეს წარმატებად კი 1981 წლის 13 მაისს იენის „კარლ ცაისთან“ 2:1 მოგება იყო თასების მფლობელთა თასის ფინალში, რომელიც დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ გაიმართა.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

№2: სიმონე, შენც?!

რობერტო დონადონი ცხვარი ყოფილა

ქართველებისა არ იყოს, „სკუადრა აძურას“ ბანაკსაც ნელ-ნელა ეცლება წამყვანი ფეხბურთელები. ფაბიო გროსოს შემდეგ უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩებში გამოირიცხა სიმონე პეროტას თამაშიც — „რომას“ ნახევარმცველმა ვარჯიშზე მასიმო ოდოსთან შეჯახებისას მარცხენა კოჭი დაიზიანა.

„წაქცევისას პეროტამ მარჯვენა ბარძაყის კუნთის ტრავმაც მიიღო. ხვალ-ზეგ შემოწმებას ჩავუტარებთ და გავიგებთ, რამდენად სერიოზულადაა საქმე“ — განაცხადა იტალიის ნაკრების ექიმმა ფერეტიმ, თუმცა ისიც დაამატა, პეროტა უკრაინის გარდა, ალბათ, საქართველოსთან მატჩსაც გამოტოვებსო.

ისე, იტალია იტალიაა და სიმონე პეროტას შემცვლელს როგორმე გამოძებნის, ასე რომ, მსოფლიოს ჩემპიონთა დანაკლისი საქართველოს ნაკრების ვაი-ვიშთან მოსატანიც არაა. რა ბევრი ლაპარაკი უნდა იმას, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელებით ღარიბები ვართ და ერთიის გამოკლებაც დიდი დაღს ასვამს ნაკრებს, ახლა კი ერთი რაა, ნახევარი შემადგენლობა არ გვეყოლება...

იტალიელმა ჟურნალისტებმა კი რობერტო დონადონის ნაცვლად „დააყენეს“ შემადგენლობა და პეროტას შემცვლელად უკრაინასთან 7 ოქტომბრის საშინაო მატჩის ძირითად თერთმეტეულში მაურო კამორანეზი „ჩასვეს“. ისიც თქვეს, ნახევარდაცვაში დანიელე დე როსის, ჯენარო გატუზოსა და ანდრეა პირლოს კანდიდატურები ურყევიაო. „ტუტოსპორტს“ თუ ვენდობით, დონადონი უკრაინასთან 4-4-2-1 სქემას აირჩევს და თავდასხმაში ტონი-ინძაგის დუეტს დაასაქმებს.

ამასობაში კი დონადონისაც მოსწყინდა პრესისგან გაუთავებელი კრიტიკა და იქით შეუტია: „ჩვენ მეტ პატივისცემას ვიმსახურებთ. ყოველთვის მოთმინებით და გაგებით ვეკიდები ყველა ადამიანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსტრუქციული კრიტიკა არანორმალურ გამოხდომებში უნდა გადაიზარდოს... ნაკრები ძალას არ ზოგავს და ნეგატიური ფონის შექმნა საჭირო არ არის“.

ილია ნანოგაშვილი

7 და 11 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩები ელის. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა „სკუადრა აძურაზე“, რომელმაც ევროშესარჩევი ციკლი უხეიროდ დაიწყო და ოდენ ერთი ქულა აქვს მარაგში...

რატომ ვთამაშობთ ასე სუსტად? იმიტომ, რომ ჩემპიონები ვართ!

— რატომ დაიწყეს შესარჩევი ციკლი იტალიელებმა ასე სუსტად?

— იმიტომ, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ. ერთი მხრივ, ფეხბურთელები და ქომაგები მოშვებულები არიან, მეორე მხრივ კი, მეტოქეები ძალიან სერიოზულად ემზადებიან ჩვენთან სათამაშოდ. არის კიდევ ერთი მიზეზი — შესარჩევი ეტაპი სექტემბერში დაიწყო და ფეხბურთელები ჯერაც არ იყვნენ ოპტიმალურ ფორმაში. ვფიქრობ, უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩების მერე კარგად გამოჩნდება, როგორია იტალიის რეალური ძალა.

— თქვენი აზრით, რა შეუძლია ახლანდელ იტალიას?

— ყოველ შემთხვევაში, ეს იტალია იმ გუნდზე სუსტი არაა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

— 7 ოქტომბერს იტალია უკრაინას მასპინძლობს და თქვენ რომ იყოთ იტალიის ნაკრების მწვრთნელი, რა სქემით ითამაშებდით?

— დონადონის ადგილზე რომ ვიყო, შემტევი სქემით ვითამაშებდი — 4-4-2-ით ან 4-3-1-2-ით. მაგრამ მე არ ვარ ნაკრების მწვრთნელი და ჩემთვის იოლია ამაზე ლაპარაკი. თუ ჩვენ არ შევუტევთ და ამ თამაშს ვერ მოვიგებთ, ევროპის ჩემპიონატს უნდა დავემშვიდობოთ.

— დაცვაში ფაბიო კანავარო და შეტევაში ლუკა ტონი — ამათ წინააღმდეგ რა უნდა ჰქნას მეტოქემ?

— ძნელი სათქმელია... ყველაფერი ხომ კონკრეტულ სიტუაციებზეა დამოკიდებული. მეტოქემ დაცვაში კონცენტრირებულად უნდა ითამაშოს და წამითაც არ უნდა დაკარგოს ტონი. კანავაროსთან კი პოზიციის მოგებას და ერთი-ერთზე წასვლას არ უნდა ეცადო, უფრო თავისუფალი ზონების მოძებნაზე უნდა იფიქრო.

საქართველო საშინელება იყო

ოლეგ ბლოხინი ამას ვერ ივიწყებს

7 ოქტომბერს რომში უკრაინის ნაკრები ჩვენს უახლოეს მეტოქე იტალიას სტუმრობს და ამ მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ოლეგ ბლოხინმა საქართველოზეც ილაპარაკა. უკრაინელთა თავკაცს ჯერაც ვერ დაუვიწყებია ერთი თვეს წინანდელი კიევური მატჩი, როცა ჩვენებმა არწასაგები თამაში 2:3 წააგეს...

„საქართველოსთან მატჩი რომ გავარჩიეთ, დავრწმუნდი, რომ ასეთი შეცდომები დიდი ხანია, არ გვქონია. ასე საზიზღრად ნაკრებმა ბოლოს მაშინ ითამაშა, როცა მთავარ მწვრთნელად ახალდანიშნული ვიყავი. ფირის ნახვისას ბიჭებს ვუთხარი, რომ ასე თამაში არ შეიძლება. საბედნიეროდ, იმ მატჩში ქულების დაკარგვას გადავურჩით, მაგრამ უფრო მაღალი დონის მეტოქე ამ შეცდომებს არ გვაპატიებდა. საფრანგეთთან, იტალიასთან და შოტლანდიასთან ასეთი თამაშით შანსი არ გვექნება“ — განაცხადა ბლოხინმა.

უკრაინელთა თავკაცმა ისიც თქვა, რომ მაშინ გამარჯვება სტანდარტული მდგომარეობების გამოყენებით მოახერხეს:

„სტანდარტულებით რომ არ გვეხეირა, საქართველო უეჭველად დაგვამარცხებდა. ის თამაში საშინლად არ მომეწონა და დღემდე ვერ ვივიწყებ. კიდევ კარგი, მაინც მოვიგეთ.“

კახა შალამბერიძე

აკაკი დევაძე: თუ ჭანტურია არა, მაშინ ლომაია

გადრი კეთილაძის ფოტო

ყველა კლინსმანს დავდევდით, გოლები კი სხვებს გაჰქონდათ

ერთი დღეც და, საქართველოს ეროვნული ნაკრები როსტოკში გერმანიის უპირველეს გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება — ეს ჩვენი ნაკრების მეორე სტუმრობა იქნება „ნაციონალმანშაფტთან.", პირველად კი საქართველოს ნაკრებმა ბუნდესნაკრებთან სტუმრად ცხრა წლის ითამაშა ევრო 96-ის შესარჩევში. მაშინ მატჩი ნიურნბერგში გაიმართა და გერმანელებმა 4:1 გაიმარჯვეს. იმ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, 34 წლის აკაკი დევაძე საამსეზონოდ ერთხელაც დაუბრუნდა ფეხბურთელობას და პირველ ლიგაში თამაშობს, ზუგდიდის „მგლების" კარს იცავს. მას მეტწილად ნიურნბერგულ მატჩზე ვესაუბრეთ...

— როგორი იყო საქართველოს ნაკრების სტრატეგია და ტაქტიკა ნიურნბერგული მატჩისას?

— არ წავაგოთ — ასეთი იყო ამოცანა. მობილიზაციაზე და ფსიქოლოგიურ განწყობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო — ჩვენ ხომ გერმანიას ვეთამაშებოდით. დაცვითი ტაქტიკა ავირჩიეთ 4-5-1 სქემით და პირველ ტაიმში ყველაფერი ნორმალურად წარიმართა ჩვენთვის, თემურ ქეცბაიას გოლით დავწინაურდით კიდეც, მაგრამ მერე ავირიეთ.

— პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიში ანდრეას მიოლერმა გაათანაბრა, მან ჯერ მურთაზ შელიას შეცდომით ისარგებლა, მერე კი ახლო კუთხეში გაგიტანა...

— მიოლერმა ახლო კუთხეში მაშინ დამირტყა, როცა ნაბიჯს ვდგამდი ანუ ახლო კუთხისკენ მქონდა საყრდენი ფეხი. გაშვებული გოლი ჩემი ბრალიც იყო, მაგრამ უფრო მაინც მიოლერის და მისი ოსტატობის.

— მაშინ საქართველოს ნაკრებს ასეთი ზნე ჰქონდა — როგორც კი გოლს გაუშვებდა, გუნდი ბრინჯივით იბნეოდა და მარცხებოდა — რისი ბრალი იყო ეს?

— მართლაც ასე იყო, მაგრამ ამის მიზეზი ახლაც არ ვიცი. ამ ფსიქოლოგიური ფაქტორის გამო ბევრი მატჩი წავაგეთ. კარგია, რომ ახლანდელ ნაკრებში ასე აღარაა, საქართველოს ნაკრები ახლა მაშინდელზე უფრო მობილიზებული გუნდია.

— ნიურნბერგამდე თბილისური მატჩი იყო, რომელშიც იურგენ კლინსმანმა ორი გოლი გაიტანა და 0:2 წავაგეთ — ნიურნბერგში კლინსმანს გოლი არ გაუტანია და რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ნაკრები კლინსმანისთვის ხელის შეშლაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე მთლიანად მატჩზე...

— უბრალოდ, მთავარი აქცენტი კლინსმანზე გვქონდა გადატანილი, მაშინ ის იყო საუკეთესო მეგოლე გერმანიის ნაკრებში, მაგრამ ისე გამოგვივიდა, რომ ლამის მთელი გუნდი კლინსმანს დავდევდით, ხოლო გოლები სხვებს გაჰქონდათ.

— გერმანიასთან არწაგება მაშინ შეუძლებელი იყო?

— უფრო გერმანელების „ბრალი" იყო, 1:4 რომ წავაგეთ, ვიდრე ჩვენი. ისინი ჩვენზე უკეთესად თამაშობდნენ და ჩვენზე მეტს დარბოდნენ.

— ქართველ მეკარეებს მაშინაც საყვედურობდნენს, თანაგუნდელებს რიგიანად ვერ კარნახობენო...

— მე ყოველთვის ვკარნახობდი თანაგუნდელებს და ნაკრების ახლანდელი მეკარეებიც აკეთებენ ამას — კარხანის გარეშე მეკარე რა მეკარეა?! თუმცა, როცა სტადიონი სავსეა და ხმაურია, მეკარის კარნახი ხშირ შემთხვევაში არ ესმით მოთამაშეებს. ბიჭებს ნიურნბერგულ მატჩშიც ვკარნახობდი, მაგრამ იმ თამაშში არაფერმა არ გაჭრა.

— როგორ ფიქრობ, ამ კონკრეტულ ეტაპზე ვინ უნდა იდგეს ჩვენი ნაკრების კარში? კლაუს ტოპმიოლერმა გვითხრა, რომ გერმანიასთან ალბათ გიორგი ლომაიას ათამაშებს...

— თუ გია ჭანტურიას არ ათამაშებენ, ვფიქრობ, კარში ლომაია უნდა ჩადგეს, პირველ რიგში თავისი გამოცდილების გამო, თუმც ძნელია, უთამაშებელ მეკარეს ენდო.

— 7 ოქტომბრის მატჩში ჩვენი ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებდი?

— ძალიან ცუდია, ამდენი წამყვანი ფეხბურთელი რომ გვაკლია, ყველა ჯანზე რომ ყოფილიყო, სულ სხვა იქნებოდა. ახლა კი არ ვიცი, მწვრთნელი რა შემადგენლობას აირჩევს.

— ფეხბურთელობას რამდენჯერმე დაანებე თავი და ისევ დაუბრუნდი — ამჯერად რითია განპირობებული შენი დაბრუნება?

— ფეხბურთი მომენატრა, ვთამაშობ და, მგონი, ეს კარგადაც გამომდის. პირველ ადგილზე ვართ და თუ უმაღლეს ლიგაში გადავალთ, ალბათ მერეც ვითამაშებ.

— იმ აკაკი დევაძემდე, რომელიც საქართველოს ნაკრებში თამაშობდა, ახლა ბევრი გაშორებს?

— პირველი ლიგის ცხრა თამაშში ერთი გოლი გავუშვი. ვფიქრობ, იმ აკაკი დევაძის 50-60 პროცენტი ვარ.

დავით თავართქილაძე

...ეროვნული ნიბლიოთეკა

გადრი კეთილაძის ფოტო

დღეს რუმინეთია მასპინძლებს დაცვა უნდა ამოვუჭოლოთ

რუმინეთში, ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეს მეორე მატჩს ჩაატარებს — ჩვენები მასპინძელ თანატოლებს გაეჯიბრებიან. ოთხგუნდა ჯგუფის პირველ შეხვედრაში ჰაინც ტოპმიოლერის გაწვრთნილმა ქართველებმა ჩრდილოეთ ირლანდიას 1:0 მოუგეს და იმავე დღეს რუმინეთმა ბელგია 4:2 დაამარცხა. ჰაინც ტოპმიოლერის თანაშემწე კობა ჟორჟიკაშვილი სწორედ რუმინეთ — ბელგიის მატჩზე გახლდათ და მას გუშინ რუმინეთში დავურეკეთ...

— ორივე გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რუმინეთსაც და ბელგიასაც შეტევაში თამაში უფრო კარგად გამოსდიოდათ, ვიდრე დაცვაში — ნახევარმცველები და თავდამსხმელები ბევრად ჯობდნენ მცველებს.

— რუმინეთს ჰყავს გამორჩეული ფეხბურთელები?

— რუმინეთის ორი გოლი „სტიუას" მარცხენა გარემარბმა „გააკეთა", მათგან გამოირჩა გამთამაშებელი განეაც, რომელმაც ორი გოლი გაიტანა. რუმინელებს კარგად გამოსდიოდათ ტაქტიკური გადაწყობა — როცა გუნდი თავს იცავდა 4-4-2 სქემით თამაშობდა, შეტევისას კი 4-2-1-3-ით.

— საქართველოს ნაკრებმა რა განლაგებით ითამაშა ჩრდილოირლანდიელებთან?

— ოთხი მცველი, ორი საყრდენი, შემტევების უკან ბექა გოცირიძე, ცენტრფორვარდი რატი წინამძღვრიშვილი, გარემარბები კი ალექსანდრე ბენაშვილი და ნიკა კვასხვაძე.

— ჩვენი გუნდის შანსებს რუმინეთთან შეხვედრაში როგორ შეაფასებდით?

— რუმინეთის დაცვა მოისუსტებს, ბელგიელებმა საკმაოდ შექმნეს საგოლე მომენტები.

— სისწრაფეში და ათლეტიზმში რუმინეთს აქვს უპირატესობა?

— არა მგონია, ასე იყოს. თანაც ჩვენს ფეხბურთელებს გამოცდილებაც აქვთ — მათ ხომ მანამდე ხშირად ვათამაშებდით უფროსებთან სხვადასხვა ნაკრებში.

— ჩვენი გუნდის ჩრდილოეთ ირლანდიასთან თამაშზე რას იტყვით?

— ეს მატჩი არ მინახავს, რადგან რუმინეთ — ბელგიის თამაშზე ვიყავი, თუმც, როგორც მითხრეს, ჩრდილოირლანდიელებმა დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს, მხოლოდ ბოლოათ წუთში მიმართეს პრესინგს და შორეულ პასებს.

— მაქაური პირობებით კმაყოფილი ხართ?

— ყველაფერი ნორმალურადაა, ჩვენ, ბელგიელები და ჩრდილოირლანდიელები ერთ სასტუმროში ვცხოვრობთ. მოსამზადებელი პირობებიც კარგია. ისე, ჩვენ აქ მათზე ადრე, 30 სექტემბერს ჩამოვედით, ისინი კი — 2 ოქტომბერს. ცხადია, ეს იმისთვის გავაკეთეთ, რომ მატჩებისთვის უკეთ მოვმზადებულიყავით.

დავით თავართქილაძე

ივანიშვილამდე ქუთაისში პრეზიდენტს ელიან

ცნობილი ქართველი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის ქუთაისის „ტორპედოში" მისვლის თაობაზე ლაპარაკი უკვე რამდენიმე წელიწადია, არ წყდება. ახალი ტალღა ორიოდ დღის წინ აგორდა, თუმცა ივანიშვილის ქუთაურთა გუნდში მისვლა ჯერაც ბურუსითაა მოცული. როგორც შევიტყვეთ, „ტორპედოს" პატრონობას ისევ კომპანია „სამი ტუზი" აგრძელებს.

თუმცა სიახლე რიონისპირულ გუნდში მოსალოდნელია — „ტორპედო" პრეზიდენტ გია ხურციძის დაბრუნებას ელის. როგორც ცნობილია, ხურციძეს თანხის არამიზნობრივ გამოყენებას ედავებოდნენ და სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამჟამად სადავო თანხა „ტორპედოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ანგარიშზეა. მორიგი სასამართლო სხდომა კი 12 ოქტომბრისთვისაა დანიშნული და, სავარაუდოდ, ხურციძე კლუბის პრეზიდენტობას დაუბრუნდება.

ექსის ექვსი

ყოფილი მილანელი ვარსკვლავის ლონდონური წვალების მიზეზები

რატომ ვერ ეგუება ანდრეი შევჩენკო პრემიერლიგას? გაზეთ „გარდიანის“ მიმომხილველის რობ სმიტის აზრით, ეს კითხვა, უპირველეს ყოვლისა, გაღიზიანებული კაცის რიტორიკას ჰგავს და არა კონკრეტული განსჯის თემას. ამ კითხვას, წესითა და რიგით, პასუხი არ უნდა ჰქონდეს, რადგან ბევრი რამ ირაციონალურია. რას გაიგებ, მარლონ კინგი ეგუება, ანდრეი შევჩენკო ვერა, მარკ ატკინსი ეგუება, ხუან ვერონი ვერა, ტიერი ანრი და დენის ბერხკამპი კი რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ ბოლოს ბარიერი გადალახეს და ყველაფერი კარგად აეწყოთ, ხოლო რობერ პირესს შეგუებამდე სეზონი დასჭირდა. საერთოდ, დაკვირვებით ჩანს, რომ სკანდინავიელები პრემიერლიგას უკეთ ეგუებიან, ვიდრე, ვთქვათ, სამხრეთამერიკელები. ნეტავ, რატომ?

იმიტომ, რომ ინგლისური ფეხბურთი მეტისმეტად სპეციფიკური რამ გახლავთ. ის მსოფლიო ფეხბურთის განსაკუთრებული ჟანრია, რომელშიც ყველა, თუნდაც გენიალური ფეხბურთელი, ადგილს როდი პოულობს. სწორედ ამის დასტურია შევჩენკოს გამოგნებული წვალებაც.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ უცხოელ ფეხბურთელთა ყიდვა რთული მეცნიერებაა. აქ მრავალმილიონიანი შეცდომები ამ მეცნიერების ისეთ დახვეწილ მიმდევარსაც კი მოსვლია, როგორიც არსენ ვენგერია: პასკალ სიგანი, კაბა დიავარა, ოლეგ ლუჟნი...

და მაინც, რა სჭირს ანდრეი შევჩენკოს? ამ კითხვაზე პასუხს ალბათ მაშინ მივიღებთ, როდესაც უკრაინელის წვალება დასრულდება და ის პრემიერლიგას შეეგუება, ოღონდ ერთი აუცილებელი „თუ“-ს დამატებით — თუ შევჩენკო პრემიერლიგას ოდესმე შეეგუება. მანამდე კი „გარდიანის“ ანალიტიკოსი ექვს შესაძლო ვარიანტს გვთავაზობს განსახილველად.

მას დრო სჭირდება

არის თეორია, რომლის მიხედვითაც გასაკვირი ის იქნებოდა, შევჩენკო პრემიერლიგას პირდაპირ რომ შეგუებოდა. ამ თეორიას ის არგუმენტი აძლიერებს, რომ ცნობილ უცხოელ ვარსკვლავთა უმეტესობას პრემიერლიგასთან შეგუება სწორედაც რომ გაუჭირდა. მაგალითად, დენის ბერხკამპმა პირველი გოლი მხოლოდ მერვე შეხვედრაში შეაგდო, ტიერი ანრიმ მეცხრეში და ამ ხნის განმავლობაში ერთიცა და მეორეც ტაბლოიდების დაცინვის საგნად იყვნენ ქცეულნი. ერიკ კანტონა „ლიდს იუნაიტედის“ ისე რა ფეხბურთელი გახლდათ და სანამ თავის ნამდვილ ძალას აჩვენებდა, მთელი წელიწადი გავიდა. შევჩენკოს შემთხვევაში თავისებურ ფონს ქმნის დიდიე დროგბას მაგალითი, რომელიც ორი წელიწადია, „ჩელსის“ შემადგენლობაში შეუცვლელია და პრემიერლიგის ერთ-ერთი მოთავარი გმირთაგანიც გახლავთ, თუმცა თავის მხრივ ეს ყველაფერი იმასაც ნიშნავს, რომ შევჩენკომ გული არ უნდა გაიტეხოს.

ერთი სიტყვით, შევჩენკოს დრო სჭირდება. თან, როგორც სტატისტიკა მეტყველებს, პრემიერლიგასთან შეგუების პრობლემა უმალ თავდამსხმელებს უდგათ, ვიდრე უნივერსალურ მოთამაშეებს, თუნდაც იმავე კლოდ მაკელელეს, გაბრიელ ჰაინცეს, სემი ჰიიპიას და სხვებს. თავდამსხმელები სხვანი არიან. მათ ჩაშლა კი არა, შექმნა ევალებათ, ეს კი გაცილებით ძნელია და რიტმთან, თანაგუნდელებთან თუ გარემოსთან შეგუებას ითხოვს.

ნეხვი და ტყვიები

ერთხელ, ხუან ვერონზე საუბრისას, როი კინმა თქვა, რომ არგენტინელი პრემიერლიგის ნეხვსა და ტყვიებს, მოკლედ კი, სწრაფ და აგრესიულ სტილს ვერ შეეგუა. მსოფლიოს გამოჩენილ ფეხბურთელებზე ამის განვრცობა და ყველას ერთ ნაჭუჭში მოქცევა სისულელეა. თეორია, თითქოს პრემიერლიგაში უცხოელებისთვის მეტისმეტად სწრაფად თამაშობენ, კოლონიური სტილის გამარტივებული შეხედულებაა, რომლის მიხედვითაც ისე გამოდის, რომ ინგლისელებს „უოტფორდით“ ყველას განადგურება შეუძლიათ. დიახ, პრემიერლიგა აშკარად უფრო სწრაფი და ძალისმიერია, ვიდრე ევროპის სხვა ლიგები, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ მის ტემპს და რიტმს საუცხოოდ შეეწყნენ ისეთი ტექნიკური მოთამაშეები, როგორებიც იყვნენ ჯანფრანკო ძოლა და ჟუნინიო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ზემოთ მოყვანილი არგუმენტი არ ვარგა. მერედა, ნურავინ იფიქრებს, რომ პაოლო მონტერო და მისნაირი მცველები შევჩენკოს იტალიაში ბალეტს ეცეკვებოდნენ.

პრობლემა თავშია

ამბობენ, რომ პრემიერლიგაში მარცხნაწვნევთა უმეტესობა, მაგალითად, ვერონი, დიეგო ფორლანი, სერგეი რებროვი და ალბერტ ლუკე, საკუთარ თავში დაეჭვებული, მორჩილი ბუნების ადამიანები იყვნენ. ისინი იმ მცენარეებს ჰგავდნენ, რომლებიც მხოლოდ კარგ ამინდში ხარობენ. ასეთთა კატეგორიას განეკუთვნებოდა ხოსე ანტონიო რეიესიც, რომელიც ინგლისიდან იმიტომ კი არ წავიდა, რომ ფილ და გარი ნევილების საშემსრულებლო ოსტატობამ დაჩრდილა, არამედ იმიტომ, რომ ინგლისში მისთვის ჩვეული ფეხბურთი ვერ ითამაშა. ახლა შეადარეთ რეიესი კრიშტიანუ რონალდუს, რომელიც მენტალურად მყარი, საკუთარ თავში დარწმუნებული, გულადი კაცია. რონალდუს ათასჯერ რომ უთხრან, აქედან მოშორდიო, ათასმეერთედ დააკაკუნებს კარზე.

რეიესმა და ვერონმა, ისევე, როგორც თავის დროზე იტალიაში ჩასულმა იან რაშმა, სახლის მონატრებას დააჩაგვრინეს თავი. ხანდახან უცხოეთში თამაში ხომ აშკარად უცხო გარემოსთან ბრძოლას ჰგავს. მერედა, ფეხბურთელი შეიძლება პირადმა პრობლემებმაც დატანჯოს — აქ ისეთი პრობლემები იგულისხმება, რომლებიც უშუალოდ მის საქმესთან ანუ ფეხბურთის თამაშთან სულაც არ არის დაკავშირებული. მეტსაც გეტყვით, ეს, თამაშისგან დამოუკიდებელი პრობლემები, შესაძლოა, ობიექტური იყოს, მაგრამ შესაძლოა, პირწმინდად სუბიექტურიც გახლდეთ.

შევჩენკო და მისი მეუღლე, კრისტენ პაზიკი, რომელთა შესახებ გაზეთების საჭორაო გვერდებზე არანაკლები დაიწერა, ვიდრე სპორტულზე, ლონდონში ცხოვრობენ, წესით, უნდა შეეგუონ [illegible] ლიან კარგადაც. ეს მათი სტილი უნდა იყოს.

ტაქტიკური გაუგებრობა

დავუბრუნდეთ 2001 წელს, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ხუან ვერონი იყიდა. მაშინ ასეთი ისტორია იყო: მანჩესტერელთა მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს პატრიკ ვიეირას ყიდვა სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა და გაღიზიანდა, გაღიზიანებულს კი ხელში დასახარჯი ფული შერჩა.

ერთი სიტყვით, ფერგიუსონმა ვერონი იყიდა, მაგრამ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რადგან მაშინდელი „იუნაიტედის“ ნახეტარდაცვა ერთადერთ ცენტრალურ ფიგურად როი კინს იგუებდა, მეორე კი იქ აბსოლუტურად ზედმეტი გამოდიოდა. როდესაც ფერგიუსონი ამას მიხვდა, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ვერონი მარჯვნივ გასწია.

მოკლედ, ვერონი „მანჩესტერმა“ უფრო იმიტომ იყიდა, რომ ის ვერონი იყო და არა იმიტომ, რომ მისნაირი ფეხბურთელი სჭირდებოდა. ზუსტად იგივე ისტორიაა ლუკესთან, რებროვთან და კლებერსონთან დაკავშირებით.

სრულებით განსხვავებული კაცია არსენ ვენგერი, რომელიც ყოველ შერჩეულ უცხოელ ფეხბურთელს ასჯერ უყურებს და სწავლობს, რა როლი შეიძლება მას მიენიჭოს „არსენალში“.

ეს ყველაფერი იმიტომ ვახსენეთ, რომ არის ეჭვი, თითქოს შევჩენკო ვერონივით შეცდომით არის ნაყიდი ანუ ნაყიდია მისი ვარსკვლავობის გამო და კიდევ იმიტომ, რომ „ჩელსის“ მწვრთნელს ხელთ დასახარჯი ფული ჰქონდა.

„მილანში“ შევჩენკოს საუცხოო ნახევარდაცვა ნაირნაირად ამარაგებდა. მის უკან იყო თანავარსკვლავდი: ანდრეა პირლო, კაკა, კლარენს ზეედორფი, რუი კოშტა, „ჩელსიში“ კი უკრაინელმა შეიძლება ფრენკ ლამპარდისა და მიხაელ ბალაკის გრძელი პასები მიიღოს ან დიდიე დროგბას ნასუფრალს დაამატოს. მეტიც, იყო თამაშები, სადაც შევჩენკო 4-3-3 განლაგებაში მარჯვენა თავდამსხმელად ჰყავდა მაურინიუს გამწესებული, რაც საშინელებაა. თვითმყოფადი მეგოლის ფრთაზე გადაწევა და ტაქტიკისთვის მორგება ბოლოს წარუმატებლად 1988 წელს იოჰან კრუიფმა „ბარსელონაში“ სცადა, როდესაც გარი ლინეკერისთვის ტოტალური ფეხბურთის სწავლება მოინდომა.

ცუდ ფორმაშია

იქნებ, სულ ეს არის. მართლაც, უეინ რუნის მსგავსად ანდრეი შევჩენკოც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ნატკენ ფეხს იშუშებს, ახალ ქვეყანაში ცხოვრებას და ახლებური ფეხბურთის თამაშს ეგუება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს არის კაცი, რომელმაც სერია A-ს 207 შეხვედრაში 127 გოლი გაიტანა, არადა, სერია A მსოფლიოში ყველაზე შეუვალი დაცვის სამყაროა.

უკვე ჯარგადაა

რა სისულელეა

ტაქსის მძღოლის შვილი: მამაჩემმა მითხრა, არ...

სერხიო აგერო არგენტინულ „ინდეპენდიენტეშიც“ ვარსკვლავი იყო და ჩრდილში მოქცევას არც მადრიდის „ატლეტიკოში“ აპირებს. 18 წლის „კუნმა“ ამასწინანდელ მადრიდულ დერბიში „რეალის“ გულშემატკივრებს თავისი ლაზათიანი ფინტებით გული გაუხეთქა. მატჩის ბოლო წუთზე სერხიოს გატანაც შეეძლო, მაგრამ... უნდოდა, იკერ კასილიასისთვის ბურთი ელეგანტურად თავზე გადაეგდო და არ გამოუვიდა. აგეროს რადიო „ელ ლარგეროს“ ჟურნალისტი ესაუბრა

— უპირველეს ყოვლისა, იმ გაცუდებული დარტყმის ახსნა მოგიწევს. მადრიდულ დერბიში „თავზედური“ გოლის გატანა მოინდომე?

— მაშინ ძალიან ვიჩქარე, ვიფიქრე, რომ კარში მაღალი ბურთის გაგზავნა უკეთესი იქნებოდა, თუმცა გოლი ვერ გავიტანე.

— „რეალის“ მეკარე შენთან უკვე ძალიან ახლოს იყო...

— დიახ, ახლოს იყო და რახან კასილიასს ელვისებური რეაქცია აქვს, კარში დარტყმის ამბავი წამებში უნდა გადამწყვიტა.

— „სანტიაგო ბერნაბეუს“ არენაზე რას გვეტყვი?

— ძალიან მაგარი სტადიონია, თუმცა ამის გამო არ დავთრგუნულვარ.

— მამაშენი არგენტინაში რას საქმიანობდა?

— ტაქსის მძღოლი იყო და ლუკმაპურს ამით ვშოულობდით. შემდეგ „ინდეპენდიენტეს“ ერთ-ერთი შეფი გაიცნო და მე კლუბში გასინჯვაზე წამიყვანა. ამის გამო მამაჩემის მადლიერი ვიქნები ყოველთვის.

— ფეხბურთელობაზე ფიქრი როდის დაიწყე?

— როცა სტადიონზე „ინდეპენდიენტეს“ მატჩების სანახავად მივდიოდი, ვერასდროს წარმომედგინა, რომ ოდესმე მეც ფეხბურთელი გავხდებოდი. თუმცა დრო გავიდა და 15 წლისა უკვე ძირითადი გუნდის წევრი ვიყავი.

— 15 წლის აგეროს დებიუტი ოსკარ რუჯერის „ინდეპენდიენტეში“ ჰქონდა. რუჯერი კი ადრე „რეალის“ ფეხბურთელი იყო. მოგვიყევი ამის შესახებ.

— ყველაფერი ერთ კვირაში მოხდა. შაბათს ახალგაზრდულში ვითამაშე და ხუთშაბათს მითხრეს, რომ მწვრთნელს უნდოდა, ძირითად გუნდში გადავეყვანე. მეც დავთანხმდი. ის მატჩი „სან ლორენსოსთან“ 0:1 წავაგეთ. მოედანზე მეორე ტაიმის 25-ე წუთზე შევედი. არ დაგიმალავთ და დაბნეული ვიყავი, მარტო ერთი მცველის მოტყუება შევძელი და მერე საკუთარ თავს ვეკითხებოდი, აქ რა მინდა-მეთქი...

— ძირითადში თამაში შენი ადრინდელი კერპების მხარდამხარ მოგიწია. როგორ გრძნობდი თავს?

— ენაგადაყლაპულივით ვიყავი და მხოლოდ მათ საუბარს ვუსმენდი. თუმცა ფეხბურთელებმა მალე გამიგეს და მითხრეს, მშვიდად იყავიო.

— მშობლების შეფასება როგორი იყო?

— მამაჩემმა, არ ჩაისვაროო — მითხრა. ასევე შემპირდა, რომ ჩემს ყველა მატჩს დაესწრებოდა.

— იმ დროის „ინდეპენდიენტეში“ შენი ფავორიტი ფეხბურთელები ვინ იყვნენ?

— ძალიან მომწონდა რიკელმე, ასევე ინსუა, მონტენეგრო... ამ ხალხმა გუნდში ჩემს მისვლამდე ერთი სეზონით ადრე არგენტინის ჩემპიონობა იზეიმა. გაბი მილიტოც იქ გახლდათ, თუმცა მალევე წავიდა ესპანეთში.

— რაც „ინდეპენდიენტეს“ მთავარ გუნდში ჩაგრიცხეს, ალბათ, შენი ცხოვრება ძალიან შეიცვალა...

— რა თქმა უნდა, შეიცვალა. მეგობრებთან ერთად ძველებურად ქუჩაში ხეტიალი აღარ შემეძლო. პოპულარული პიროვნება გავხდი და ხალხი ქუჩაში გამოსულს გასაქანს არ მაძლევდა.

— ბაბუამ „კუნი“ რატომ შეგარქვა?

— კომიქსების გმირს ვგავდი და იმიტომ. პატარა რომ ვიყავი, სახლში ყველაფერს ვამტვრევდი და ბაბუაჩემმა არგენტინაში პოპულარული კომიქსების პერსონაჟს შემადაგარ. „კუნიც“ ჩემსავით მოურჯულებელი იყო.

— არგენტინაში მადრიდის „ატლეტიკოს“ შესახებ რა იცოდი?

— „ატლეტიკოს“ თამაშებს ტელევიზორში ვუყურებდი. ჩემი აგენტი შემეკითხა, მადრიდში გადასვლაზე თანახმა თუ ვიყავი და მეც უარი არ მითქვამს. თან ეს გუნდი ფორმის ფერის გამოც მომწონდა, მათი მაისურა ხომ „ინდეპენდიენტესას ჰგავს.

— მადრიდულ კლუბში ყველაზე მეტად ვის დაუმეგობრდი?

— ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში ვარ, თუმცა მაქსი როდრიგესთან განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებს. ასევე ვმეგობრობ კოშტინიასთან და მანიშესთან. ხშირად მთელ დღეებს ერთად ვატარებთ.

— როცა მოედანზე გადიხარ, გრძნობ, რომ გულშემატკივარი შენგან რაიმე განსაკუთრებულს ელოდება?

— მსგავსს ვერაფერს ვგრძნობ. მოედანზე იმისთვის გამოვდივარ, რომ ჩემს გუნდს ქულები მოვუპოვო და თან გავერთო.

— პრიმერადივიზიონში წლეულს რომელ ადგილს დასჯერდები?

— მე ჩემპიონობა მსურს. სხვა არ მაინტერესებს.

— ესპანეთის ჩემპიონატში მცველები ძალიან უხეშობენ?

— აქ ივივეა, რაც არგენტინაში. მცველები ჩემთან უხეშობენ, ალბათ, იმიტომ, რომ პატარა ბიჭუკელა ვგონივარ და ფიქრობენ, აგრესიულობით შევაშინებთო. როცა მე ფეხებში მირტყამენ, იგივე აგეროდ ვრჩები და შიშს გულთან არ ვიკარებ. არგენტინაში საერთოდ, ფორვარდებს დარტყმების და სახიფათო ვარდნების ატანას ვარჯიშზე ასწავლიან.

— მადრიდში ჩამოსვლის დღიდან ყველაზე მეტად როდის ინერვიულე?

— სანამ ჩამოვიდოდი, იქამდე ვნერვიულობდი, ვფიქრობდი, ახალი თანაგუნდელები როგორ მიმიღებენ-მეთქი. თუმცა შესანიშნავად შემხვდნენ და მეც ადაპტაციის პერიოდი იოლად გავიარე.

— ფერნანდო ტორესთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— საკმაოდ კარგი. „ფლეი სთეიშენზე“ ფეხბურთში ჩემი მეწყვილეა და დანარჩენ ატლეტიკოელებს ვუგებთ ხოლმე. მერე წაგებულებს დავცინით და გულზე ვხეთქავთ...

ბრაზილიელი ყაჩაღების გატაცება: ფეხბურთელების ნათესავების გატაცება

ბრაზილიაში რიკარდო ოლივეირას და გაიტაცეს — მარია დე ლურდეს სილვა დე ოლივეირა. „მილანის“ ფეხბურთელის 35 წლის და ორმა შეიარაღებულმა თავდამსხმელმა ოთხშაბათს დილით საკუთარი სახლიდან გაიტაცა. მძარცველები სახლში ფულს და ძვირფასეულობასაც ეძებდნენ, თუმცა, სან პაულუს პოლიციის ცნობით, მათ ფასეული ნივთების წაღება ვერ მოახერხეს.

ეს ამბავი კასა ვერდეს უბანში დილის ექვსის ნახევარზე მოხდა. მარიას, მის მეუღლეს და 8 წლის შვილს ჯერაც ეძინათ, როცა სახლში გამტაცებლები შეიჭრნენ.

სენიორა დე ოლივეირას ქმარმა პოლიციას მიმართა და ამასთანავე პრესასთან განაცხადა, რომ მიუხედავად მარიას ძმის სახელგანთქმულობისა, მათ ოჯახს გატაცებულის უკან გამოსახსნელად საკმარისი თანხა არ გააჩნია. ბრაზილიაში მარია დე ლურდესის ჯანმრთელობაზე შიშობენ, მას თურმე ჰიპერტონია აწუხებს.

ეს ბოლო ორ წელიწადში ბრაზილიაში რიგით მერვე შემთხვევაა, როცა ბანდიტები ფეხბურთელთა ოჯახის წევრებს იტაცებენ. დაზარალებულთა შორის იყვნენ რობინიოს, ლუიშ ფაბიანოს, გრაფიტეს, მარინიოსა და როჟერიოს ნათესავები. „სანტოსის“ მცველის კლებერის დედა კი გატაცებას გადაურჩა, მაშინ პოლიციელებმა თავდამსხმელებზე სწრაფად იმოქმედეს.

რიკარდო ოლივეირას დის გატაცებამდე ბრაზილიაში ბოლო ასეთი შემთხვევა სექტემბერში მოხდა და მაშინ ბანდიტებმა მძევლად „პალმეირასის“ მცველ მიჩელ ანდერსონ პერეირა და სილვას და აიყვანეს. 21 წლის შეიდა პერეირა და სილვა ოჯახის მიერ თანხის გადახდის შემდეგ ცხრადღიანი ტყვეობიდან განთავისუფლდა, თუმცა „ბანდოლეიროებს“ ფული არ შერჩენიათ — პოლიციამ მათი ადგილსამყოფელი გაიგო, გამტაცებლები დააპატიმრა და თანხა ფეხბურთელის ოჯახს დაუბრუნა.

ლადო ხომერიკი

უკანასკნელი ხელმოწერები

მეტ ბასბის „მანჩესტერი“ გასახდელში

ინგლისში 12 ათას გირვანქად გაიყიდა 1958 წელს დაღუპული „მანჩესტერ იუნაიტედის“ უკანასკნელი ავტოგრაფები.

თოთხმეტმა ფეხბურთელმა რესტორნის მენიუს მოაწერა ხელი, იმავე ღამეს კი მათი თვითმფრინავი ჩამოვარდა.

ეს იყო 5 თებერვალს, საღამოს. მენიუზე დანკან ედვარდსის, როჯერ ბირნის, ჯეფ ბენტის, ედი კოულმენის, მარკ ჯონსის, დევიდ პეგის, ტომი ტეილორის და ლაიამ „ბილი“ უილონის ავტოგრაფებია. ისინი ყველანი დაიღუპნენ.

„მანჩესტერმა“ ორი მატჩის ჯამში 5:4 მოუგო ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ და ჩემპიონთა თასის გათამაშების შემდეგ წრეში გავიდა. ავტოგრაფები „ოტელ მაჯესტიკის“ მენიუზეა აღბეჭდილი, სადაც გუნდი ვახშმად იმყოფებოდა.

ირაკლი გამყრელიძე

მარკო მატერაციმ თქვა, ზინედინ ზიდანთან შერიგებაზე ხელი ამიღიაო. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის სკანდალური ეპიზოდის მონაწილე იტალიელი და ფრანგი, ცნობილი ინციდენტის ანუ 9 ივნისის მერე არ შეხვედრიან ერთმანეთს და, როგორც ჩანს, ამ საქმიდან აღარაფერი გამოვა

მატერაციმ ზიდანი კოვერჩანოში დახურა

მკერდი თავს არ შეურიგდება

„ყველა ღონე ვიხმარე მასთან დასაკავშირებლად, მაგრამ ამაოდ. ამიერიდან განზრახვაზე ხელს ვიღებ“ — თქვა „ინტერის“ მცველმა კოვერჩანოში შეკრებილ ჟურნალისტებთან საუბრისას. კოვერჩანოში, მოგეხსენებათ, იტალიის ნაკრების საწვრთნელი ცენტრია, სადაც მსოფლიოს ჩემპიონები უკრაინასთან და საქართველოსთან თამაშებისთვის ემზადებიან. მატერაციმ დასძინა:

„მე ფიფას განვუცხადე, რომ მზად ვარ, პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოვაგვარო, მაგრამ ახლა უკვე დავიღალე. ბოლოს და ბოლოს, ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ მე დავისაჯე“.

შეგახსენებთ, რომ ფიფამ თავის დროზე ინციდენტის ორივე მონაწილე დისკვალიფიკაციით დასაჯა, მაგრამ ვინაიდან ზიდანს ფეხბურთისთვის თავი უკვე დანებებული ჰქონდა, მას ბავშვთა ფეხბურთში უსასყიდლოდ მუშაობის საათები შესთავაზა, რასაც ფრანგი დათანხმდა.

მატერაცი: „ჩემ შესახებ მუდმივად რაღაც საძაგლობები მესმის. თუნდაც ფრანგების მწვრთნელის რაიმონ დომენეკის ბოლოდროინდელი ნათქვამი გაიხსენეთ, მატერაცი პროვოკატორთა სიის სათავეშიაო. ეს ტყუილია, მაგრამ გადავწყვიტე, პასუხი აღარავის გავცე. რაც უნდათ, ის თქვან, მე ცალ ყურში შევუშვებ და მეორეში გავუშვებ“.

სხვათა შორის, ზიდან-მატერაცის კონფლიქტთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ამბავი ხდება — მავანმა ფრანგმა ადვოკატმა მეანა მუჰუმ გადაწყვიტა, სამოქალაქო სასამართლოს მიმართოს, სადაც დაამტკიცებს, რომ ფინალის მსაჯმა ლუის მედინა კანტალეხომ ზიდანის მიერ მატერაცისთვის თავის კვრა თავად კი არ დაინახა, არამედ მას მეოთხე არბიტრმა ვიდეოზე ნანახი შეატყობინა. სხვა სიტყვებით, ზიდანს წითელი არ უნდა მიეღო, რადგან ფეხბურთის მსაჯებს ვიდეოაპარატურის გამოყენების უფლება არ აქვთ.

დავაზუსტოთ: ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ ფეხბურთელი ხშირად დასჯილა, მაგრამ თამაშის მსვლელობისას კი არა, მერე, ზიდანი კი, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გააძევეს...

თუმცა, სპორტულ საკითხებში ჭიპმოჭრილი ვექილი კრისტიან შევალიე ამბობს, რომ მუჰუს ჩანაფიქრის განხორციელება ძალიან გაუჭირდება.

ჩვენი მოკლე წერილის ბოლოს კი ისევ მატერაცის დავუბრუნდეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ის „ინტერის“ მოთამაშეა, „ინტერს“ კი სკანდალში აქვს თავი გაყოფილი — მის პრეზიდენტს 2002 წელს მსაჯ მასიმო დე სანტისის თვალთვალისა და სატელეფონო საუბრების მოსმენის ორგანიზებაში ადანაშაულებენ.

„მას მერე, რაც ბოლო სკუდეტო ჩვენ გადმოგვცეს, უსამართლო მოპყრობის ობიექტად ვიქეცით. ზოგი ამბობს, რომ ეს სკუდეტო არამია, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მოედანზე მინდა ახლის მოგება, რათა „ინტერმა“ მართლა განიცადოს ის ზეიმი, რომელსაც 17 წელიწადია, დანატრებულია“.

და კიდევ ერთი თემა, რომლის მთავარი გმირი „ინტერისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი კარისტიან ვიერი გახლავთ. მოგეხსენებათ, ვიერიმ განაცხადა, რომ „ინტერი“ თურმე მის სატელეფონო საუბრებსაც უსმენდა.

„მე მგონია, რომ ვიერი თავს იცავს. მოგეხსენებათ, როდესაც შენი პირადი ცხოვრების წვრილმანები საჯაროდ ცნობილი ხდება, ძალიან უსიამოვნოა. კრისტიანი ღირსეული კაცია, რომელმაც ხუთი წელიწადი „ინტერში“ გაატარა და მისი გულისტკივილი კარგად მესმის“.

პაპუნა კედია

ნეხვი ნახვამდე

სლავენ ბილიჩმა ინგლისი ბუნებრივი სასუქით გაამდიდრა

სლავენ ბილიჩი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა თავისი მეტოქე ინგლისი გამოლანძღა.

მან ინგლისელთა გუნდს „სრული ნეხვი“ უწოდა, მენეჯერ სტივ მაკლარენის ტაქტიკას კი მაკედონიელებთან ამასწინანდელ მატჩში — მხდალი.

ჯერ ისტორიაში არ ყოფილა, რომ მეტოქის მწვრთნელს ინგლისელები ასეთი სიტყვებით შეემკოს.

„მსოფლიო ჩემპიონატზე ნაგავი გუნდი იყო — თქვა ერთ დროს პრემიერლიგაში მოთამაშე ბილიჩმა, — მარტო უვარგისი გუნდი კი არა, საერთოდ არაფერი იყო. ცხოვრებაში არ მინახავს, კარგი ფეხბურთელებით სავსე გუნდი დაცვაში მდგარიყოს. თანაც, ყველა ცალ-ცალკე უბერავდა. თავიდან ვფიქრობდი, რომ ინგლისს ჩემპიონობის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ასეთი თამაშისთვის დაისჯებოდნენ. ამ უვარგისობის გამო, თავს მძიმე სეზონით ვერ გაიმართლებ. შეხედეთ, იტალიელებს!... ვერც მაშინ და ვერც ახლა, ვერ ვხვდები, რატომ თამაშობს ინგლისი დაცვით ფეხბურთს. რა ნეხვიც იყო, ის ნეხვი დარჩა“.

ხორვატია ინგლისს 11 ოქტომბერს უმასპინძლებს.

ირაკლი. გამყრელიძე

ფრთხილად, ცეცხლსაშიშია!

დევიდ ბექემი კალდერონს სახანძროში დაარეკინებს



დევიდ ბექემს მადრიდში მიანიშნებენ, დიდად აღარ გვჭირდებიო. ის გააფრთხილეს, რომ თუ „რეალში“ დარჩენა უნდა, ხელფასს ჩამოაჭრიან. ეს ნათქვამი თითქოს იქედან გამომდინარეობს, რომ ბექემს ეთქვას: ფეხბურთს ორ წელიწადში გამოვეთხოვებიო.

სარწმუნო წყაროებით, ბექზს შეუთვლია „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონისთვის, თუ დავრჩები, მხოლოდ ჩემი პირობებით და გაფრთხილებთ, ცეცხლს ეთამაშებითო. ზაფხულში ინგლისელი თავისუფალი აგენტი ხდება და მადრიდში ფიქრობენ, რომ ნაკრებიდან მოკვეთილი ბექემი ბედნიერი იქნება, თუ მადრიდში ნაკლები ხელფასით დაიტოვებენ. „რეალი“ ბექემის სარეკლამო თანხების 50 პროცენტსაც აკონტროლებს, თუმცა, მიაჩნია, რომ წელიწადში 4 მილიონგირვანქიანი ხელფასი, მისთვის ბევრია.

დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა თქვა: „ის ხელფასის მომატებას ითხოვს, თუმცა, ეგებ ნაკლებზეც დარჩეს“.

ამ წინააღმდეგობათა მიუხედავად, „რეალში“ ამბობენ, რომ ახალ კონტრაქტს ოქტომბერშივე მოეწერება ხელი. კლუბის განცხადებაში ნათქვამია: „რახან დევიდი ორ წელიწადში ანებებს თავს თამაშს, ჩვენ გვსურს, რომ ეს დრო მან ჩვენთან გაატაროს. ჩვენ ის გვჭირდება. მწვრთნელი მას ენდობა და მოსწონს მისი თამაში“.

ბექემის პრესმდივანმა კი თქვა: „ფეხბურთიდან ორ წელიწადში წასვლაზე არასდროს გვითქვამს რამე. საოცარია, საიდან მოიტანეს?“

მიატოვიჩი ბექემის წარმომადგენელ ტერი ბირნს შეხვდა, თუმცა, ლაპარაკის შინაარსი უცნობია. დირექტორმა მხოლოდ ეს თქვა: „ის რომ დევიდი სათადარიგოთა სკამზე ზის, არაფერს ნიშნავს. კონტრაქტის განახლება ორივეს გვინდა. ყველაფერზე მოვილაპარაკებთ“.

ირაკლი გამყრელიძე

მუშტი და ძაღლი

ალექსანდრ შირკო

რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა „შინიკის“ ფორვარდ ალექსანდრ შირკოს სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია გამოუწერა. გასულ უქმეებზე „როსტოვთან“ 1:6 წაგებული მატჩის შემდეგ შირკომ გულშემატკივრებისკენ მუშტით გაიწია და ამიტომ დასაჯეს. თავად კლუბი კი 50 ათას რუბლს გადაიხდის იმისთვის, რომ უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო. ამას დაუმატეს კიდევ 10 ათასი, ტრიბუნებიდან საგნების სროლისთვის.

დასჯილები არიან „ზენიტი“ და მისი ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატიც. ადვოკაატი ნალჩიკის „სპარტაკთან“ მატჩისას ტექნიკური ზონიდან (მწვრთნელისთვის განკუთვნილი შემოხაზული ადგილიდან) გამოვიდა და ამისთვის 30 ათასის გაღება მოუწევს, ხოლო კლუბი 5 ათასს გადაიხდის... მოედანზე ძაღლის გამოსვლის გამო.

ირაკლი ნინიძე

იბრაკადაბრას არააბრაკადაბრა

მილანის „ინტერში“ „იუვენტუსიდან“ გადასული ზლატან იბრაჰიმოვიჩის თქმით, თუ „ნეროაძურის“ სურს, მიმდინარე სეზონში რაიმე ტიტული მოიგოს,სასწრაფოდ უნდა გამოიღვიძოს და უკეთ ათამაშდეს. შვედმა საკუთარი თავიც გააკრიტიკა და თანაგუნდელებს გამოფხიზლებისა და გააქტიურებისკენ მოუწოდა.

„დროა, უკეთ ავთამაშდეთ. ჩვენგან ბევრს ელიან და ამის საფუძველიც აქვთ, ბრწყინვალე გუნდი გვყავს, რომელმაც უნდა გამოიღვიძოს და ყველას აჩვენოს, თუ ვინ ვართ და რა შეგვიძლია რეალურად. პირადად მე უნდა მოვუმატო და ეს ჩემს თანაგუნდელებსაც ეხებათ. ყველანი ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. სათანადო ფორმაში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ სეზონი ახალი დაწყებულია და ჯერ ყველაფერი წინაა“ — თქვა წარმოშობით ბოსნიელმა თავდამსხმელმა.

იბრაჰიმოვიჩს, რომელმაც საფეხბურთო სამყაროს ყურადღება „აიაქსში“ კარგი თამაშით მიიპყრო, „ინტერის“ მაისურით შვიდ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი. მისმა კლუბმა კი ბოლო წლების ტრადიცია არ დაარღვია და ისევ მძიმედ დაიწყო. რობერტო მანჩინის შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩატარებული ორივე მატჩის წაგება მოახერხეს. მიუნხენის „ბაიერნთან“ შეხვედრაში ზლატანმა წითელი ბარათიც დაიმსახურა. სერია A-ში კი ლიდერობა „კალიარისთან“ ნათამაშები ფრის მერე დაკარგეს, თუმცა „იბრაკადაბარას“ განწყობა ოპტიმისტურია.

„ჩემპიონატში ლიდერს მხოლოდ ერთი ქულით ჩამოვრჩებით, ეს არაფერს ნიშნავს — ამბობს იბრაჰიმოვიჩი — თანაც აქამდე არ გვიმართლებდა და რამდენიმე ისეთი გოლი გავუშვით, რომელთა თავიდან აცილება თავისუფლად შეიძლებოდა. იგივე შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ. რაც შეეხება ჩემი გოლების რაოდენობას, ამაზე არ ვღელავ, რადგან ეს მთავარი არ არის. მინდა, გუნდისთვის რაც შეიძლება სასარგებლო სამუშაო გავწიო“.

იბრაჰიმოვიჩმა კომენტარი მანჩინის შესაძლო მოხსნაზეც გააკეთა: „მიხარია, რომ გუნდის მფლობელმა მასიმო მორატიმ საჯაროდ დააფიქსირა მისი მხარდაჭერა მწვრთნელისადმი. მანჩინის ეს სჭირდებოდა. მან გვითხრა, რომ მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია სწორი მოქმედების შემთხვევაში ვითარების შეცვლა და აგვიხსნა, რას ითხოვს ჩვენგან. იგი გვეუბნება რა უნდ გავაკეთოთ, მაგრამ მთავარია, ჩვენ ყველაფერი ზუსტად შევასრულოთ მინდორზე“.

ოპტიმისტურადაა განწყობილი „ინტერის“ ვეტერანი კაპიტანი ხავიერ ძანეტიც: „ვფიქრობ, სანაკრებო თამაშებმა კარგ დროს მოგვისწრო. ტრავმირებული ფეხბურთელები მომჯობინებას მოასწრებენ. ყველანი გავაანალიზებთ იმ შეცდომებს, რომლებიც მიმდინარე სეზონში დავუშვით და მჯერა, გაცილებით უკეთ ავთამაშდებით. მთლიანობაში ცუდად არ დაგვიწყია. უბრალოდ, ჩემპიონთა ლიგაში ვითარება უნდა გამოვასწოროთ, რათა ჯგუფურ ეტაპზე პრობლემები არ შეგვექმნას. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული“.

33 წლის არგენტინელი, რომელიც „ნეროაძურისთან“ ერთად მეთორმეტე სეზონს ატარებს, ჯანლუიჯი ბუფონის სიტყვებსაც გამოხმაურა. მოგეხსენებათ, „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების მეკარემ აღნიშნა, რომ წინა სეზონის სკუდეტო მისმა გუნდმა მოიგო მინდორზე, ხოლო „ინტერს“ რომ გადასცეს ეს არაფერს ნიშნავს და ასეთ ტიტულს ფასი არ აქვსო.

„მე მეამაყება, რომ იმ გუნდის კაპიტანი ვარ, რომელსაც პატიოსანი კლუბის სახელი აქვს და ვამაყობ „ინტერში“ მომუშავე თითოეული წევრით. ყველა ისე იქცევა, რომ თითქოს რაღაცის უნდა შეგვრცხვეს, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ. მთელი ამ წლების მანძილზე „ინტერი“ პატიოსნად თამაშობდა და ეს სკუდეტო დაუმსახურებლად არ მიგვიღია, ქულები მინდორზე ჩვენი შრომით, ყოველგვარი დახმარებისა და მაქინაციების გარეშე მოვიპოვეთ“ — დასძინა ძანეტიმ.

გიორგი კაკაბაძე

მილანის სასადილოში ღიმილს სარშპენ

შავ-წითელ ზეედორფს ორასი შეუსრულდა

ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა კლარენს ზეედორფმა გასულ უქმეებზე მილანის რიგებში საიუბილეო, მე-200 შეხვედრა ჩაატარა. სურინამული წარმოშობის ფეხბურთელმა ამის გამარჯვებით აღნიშვნა ვერ შეძლო, „მილანმა“ „სიენასთან“ შინ ფრედ, 0:0 ითამაშა. ეს „როსონერის“ ზედიზედ მესამე უგოლო მატჩი გახლდათ, თუმცა ზეედორფი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი თამაშს მალე გამოასწორებს, ბევრ გოლსაც გაიტანს და შესაბამისად ქულებსაც დააგროვებს.

„ბრწყინვალეა, იყო იმ გუნდის წევრი, რომელმაც ბევრი რამ მოიგო ბოლო წლებში. ჩვენ ყველას გვჯერა კლუბის და იმის, რაზეც „მილანი“ აშენდა. საოცრად მეგობრული გუნდი გვყავს“. — თქვა ზეედორფმა.

30 წლის ნახევარმცველი „მილანში“ 2002 წელს „ინტერიდან“ გადავიდა. მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

„მარტივი ასახსნელი არ არის, თუ როგორია, გრძნობდე თავს დიდი და ძლიერი ოჯახის წევრად. თავის დროზე „მილანში“ გადმოსასვლელად მრავალი მიზეზი მქონდა. თუნდაც ის, რომ ყველა წვრილმანს დიდი ყურადღება ექცევა მინდვრის გარეთაც კი. დიდ სიამოვნებას ვიღებ ყოველდღური ვარჯიშებისგანაც. სამზარეულოშიც რომ შეხვიდეთ, მხლოდ მომღიმარ ხალხს დაინახავთ, რომლებიც საჭმელს გულმოდგინედ ამზადებენ და ეს ატმოსფერო ძალიან მნიშვნელოვანია“ — განაცხადა ჰოლანდიელმა.

„მილანმა“ მინუს 8 ქულა უცებ კი გაქვითა, მაგრამ ახლა ცოტა უჭირს და სერია A-ს ლიდერებსაც გვარიანად ჩამორჩება. ამაში ერთ-ერთ დამნაშავედ გუნდის თავკაცი კარლო ანჩელოტი ზეედორფსაც მიიჩნევს, რომელსაც ზანტობას აბრალებს. მათ შორის შელაპარაკებაც იყო, მაგრამ მოგვიანებით ორივემ აღნიშნა, რომ არანაირ კონფლიქტს ადგილი არ აქვს და ჟურნალისტები ყველაფერს ამუქებენ.

„ვფიქრობ, ჩვენი მეტოქეები ძალიან გვიფრთხიან და ზედმეტად დაცვით ტაქტიკას ირჩევენ ხოლმე, რაც თავდასხმაში პრობლემებს გვიქმნის და გოლის გატანა ცოტა გვიჭირს. თუმცა მომენტებს ყოველთვის ვქმნით და ამიტომ არ ვღელავ. გუნდი მნიშვნელოვნად შეიცვალა ანდრეი შევჩენკოს წასვლის შემდეგ. ახლა ყველამ უნდა შევუტიოთ და გოლის გატანა ვცადოთ, ნახევარმცველების როლი საგრძნობლად გაიზარდა. მთავარი მოგებაა და არა ის, ვინ იქნება გოლის ავტორი“ — დასძინა ზეედორფმა.

გიორგი კაკაბაძე

ტრადიციული პაპა

ჰომო ვიცი საპიენსი, სექსუალების...

ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი ოტო ბარიჩი გააფთრებით ებრძვის... ჰომოსექსუალიზმს. სწორედ ამის გამო 71 წლის ხორვატი პაპა უეფამ 5 ათასი ევროთი დააჯარიმა. საქმე ბარიჩის მიერ ორი წლის წინ JNTARNJI LIST-ისთვის მიცემულ ინტერვიუს ეხება, სადაც იგი ამბობს: „ვერაფრით დავუშვებ, რომ ჩემი რომელიმე შეგირდი ჰომოსექსუალი იყოს. ვერ წარმომიდგენია, მათთან როგორ უნდა ვიმუშაო, ისინი ხომ სუსტები და ავადმყოფები არიან“.

არავინ იცის, უეფასთან ბარიჩს ვინ უჩივლა. სავარაუდოდ კი, ეს ხორვატიის სექსუალურ უმცირესობათა დაცვის ასოციაციამ გააკეთა.

ადრე ოტო ბარიჩი ვენის „რაპიდს“, „ზალცბურგსა“ და ზაგრების „დინამოს“ წვრთნიდა. ხორვატიულ მედიაში იხსენებენ, რომ ბარიჩი თავის ყველა გუნდში „სუსტებთან და ავადმყოფებთან“ მებრძოლი იყო. არ უყვარს ბებერს არატრადიციული და რა ქნას...

ლადო ხომერიკი

ვარჯიში ჭიქით



ვარჯიშის გაცდენის გამო ავსტრალიის ნაკრებიდან კრეიგ მური მოკვეთეს. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, ოზებს კი ზეგ პარაგვაისთან ამხანაგური მატჩი ელით.

„ნიუკასლის“ ლეგიონერი ალბათ, ოთხშაბათს ბაჰრეინთან აზიის თასის შესარჩევ შეხვედრასაც გამოტოვებს და ინგლისში დაბრუნდება, სადაც 15 ოქტომბერს „კაჭკაჭები“ „ბოლტონთან“ ითამაშებენ.

30 წლის მცველი, ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, გუნდს არ გაჰყვა სიდნეიდან ბრისბენში, სადაც ვარჯიში ჰქონდათ. უმიზეზოდ ვარჯიშის გაცდენის გამო ფეხბურთის ფედერაციამ მისი გვარი სიიდან ამოიღო. „ფედერაციის გადაწყვეტილება კრეიგს ვაცნობე და მან ეს მშვიდად მიიღო, თუმც არა მგონია, რომ ამით მურის სანაკრებო კარიერა დასრულდეს“ — ბრძანა ოზების მწვრთნელმა გრემ არნოლდმა.

რატომ არ გამოცხადდა ნიუკასლელი ვარჯიშზე? ზოგი ავსტრალიური გაზეთი წერს, რომ სიდნეიში სამშაბათს ჩასულმა მურმა მთელი ღამე ერთ-ერთ კლუბში გაატარა და ხელიდან ჭიქა არ გაუგდია. ფეხბურთელმა მოგვიანებით მოიბოდიშა კიდეც, მაგრამ ამან ვერ უშველა.

გიორგი დარჯანია

ჯანლუიჯი ბუფონმა ინტერს სკუდეტოს დამწნილება ურჩია

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა „ინტერს“ შეუთვალა, ფედერაციისგან ნაჩუქარი სკუდეტო კარგად შეინახეთო. ჯიჯის აზრით, ასეთ ჩემპიონობას აზრი არ აქვს, რადგან ის სკუდეტო მან „იუვესთან“ ერთად მოიგო.

როგორც იცით, კალჩოპოლის განაჩენის შედეგად, „იუვეს“ ქულები დააკლეს, სერია **B**-ში დააქვეითეს და ბოლო ორი სკუდეტო ჩამოართვეს. ბუფონი ერთ-ერთია, რომელმაც კლუბს უერთგულა და მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, „ბებერ ქალბატონში“ დარჩა.

ჯანლუიჯი ბუფონი: „ნამდვილად არ მშურს „ინტერის“, რომელსაც გასული სეზონის სკუდეტო გადასცეს. პირიქით, მილანელებს შეუძლიათ, კარგად შეინახონ იგი, თუმცა მას ფასი არ აქვს, რადგან სკუდეტო მაისში „იუვენტუსთან“ ერთად მოვიგე და ეს ყველამ იცის“.

გამოძიება ახლა „ინტერსაც“ მიადგა. მართალია, ამ შემთხვევაში სხვა კუთხით, მაგრამ მაინც. „ნეროაძურის“ საქმესთან დაკავშირებით სიახლეები ალბათ მალე გახდება ცნობილი.

„არა მგონია, „ინტერს“ ეს სკუდეტო ისევ წაართვან და ცუდი არც არავისთვის მინდა. ამ ეტაპზე აჯობებს, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის. იმედია, სამართალი იზეიმებს. ერთი, რაც დანამდვილებით ვიცი, ის არის, რომ წინა ორ სეზონში ჩვენ ბრწყინვალე გუნდი გვყავდა, რომელიც დამსახურებულად იმარჯვებდა და დახმარება არ გვჭირდებოდა. ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს თამაში და მინდორზე ყველაფრის გაღება. ხოლო ვინმე მნიშვნელოვნად რომ დაგვხმარებოდა, ამას აუცილებლად ვიგრძნობდი და გვეცოდინებოდა. „იუვენტუსი“ ძალიან მკაცრად დაისაჯა, მაგრამ ეს არ მაშინებს. ახლა ფეხბურთზე უნდა ვიფიქრო და არა „ინტერზე“ ან სხვა ამბებზე, ეს ჩვენი საქმე არ არის. კმაყოფილი ვარ, რომ „იუვეში“ დავრჩი. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. სერია **B**-ში თამაშით სიამოვნებას ვიღებ“ — განაცხადა ჯიჯიმ.

გიორგი კაკაბაძე

უსტვინე, რამდენიც გინდა!

ცნობილი იტალიელი მსაჯის, ჯანლუკა პაპარესტას აპელაციამ გაჭრა. ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მას რვათვიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნა. ასე რომ, გამოცდილ არბიტრს შეუძლია, მინდორს დაუბრუნდეს, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სერია **B**-ში.

შეგახსენებთ, რომ პაპარესტა მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში დამნაშავედ ცნეს. იგი „იუვენტუსის“ ყოფილ გენერალურ დირექტორ ლუჩანო მოჯისთან სეჭვო ურთიერთობაში და მაქინაციებში დაადანაშაულეს. საქმეში ფიგურირებდა მსაჯების ოთახში პაპარესტას ჩაკეტვის ფაქტიც. ეს მას მერე მოხდა, რაც „იუვენტუსმა“ „რეჯინასთან“ 1:2 წააგო, ბოლო წუთებზე კი პაპარესტამ თანამსაჯებთან ერთად, „ბებერ ქალბატონს“ წესების დაცვით გატანილი გოლი შეცდომით არ ჩაუთვალა. განრისხებული მოჯი გასახდელში შეჭრილა და იგი ოთახში ჩაუკეტავს. საუბარი საკმაო ხანს გრძელდებოდა.

კალჩოპოლის განაჩენით, პაპარესტამ სამთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომელიც უკვე მოიხადა კიდეც. მსაჯთა ასოციაციამ მას სასჯელი დაუმძიმა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აპელაციამ იგი გააუქმა.

„ამ ვერდიქტით ჯანლუკა პაპარესტას, რომელსაც იტალიური ფეხბურთისთვის ცოტა არ გაუკეთებია და საერთაშორისო დონის მსაჯია, მინდორზე დაბრუნება შეუძლია. ვიმედოვნებთ, რომ მსაჯთა ასოციაცია და უეფა ამას რაც შეიძლება, მალე გაითვალისწინებს და პაპარესტას ლიცენზიას აღუდგენს“ — თქვა არბიტრის ადვოკატმა ჯანლუიჯი პელეგრინომ.

კოკი კანდელაკი

ელ ზარის ზარ-ზეიმი

„ლივერპულმა“ „სენტ ეტიენიდან“ 20 წლის მაროკოელი ფორვარდი ნაბილ ელ ზარი გადაიბირა, რომელსაც ფრანგულ კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ აკავშირებდა.

ელ ზარიმ თავი შარშან, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გამოიჩინა, სადაც მისი ნაკრები ნახევარფინალში გავიდა და ნიგერიასთან დამარცხდა.

იგი საფრანგეთშია დაბადებული, მაგრამ მაროკოს დროშის ქვეშ თამაში არჩია. გასულ სამშაბათს მან „ლივერპულის“ სათადარიგოებში „ნიუკასლის“ სათადარიგოების წინააღმდეგ ითამაშა და იმედოვნებს, რომ მალე ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდება.

„სენტ ეტიენმა“ პროფესიული კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ არ ვიჩქარე ხელის მოწერა და „ლივერპულში“ გადასვლა ვარჩიე. მგონი, არ შევმცდარვარ, ასე რომ მოვიქეცი — განაცხადა მაროკოელმა — სეზონისწინა შეკრების შემდეგ ვიფიქრე, ძირითადში მათამაშებენ-მეთქი, თუმც მწვრთნელი არ მეწდო და ამიტომაც ავიბარგე სენტ ეტიენიდან „ლივერპულში“, სადაც უკეთესი მომავალი მელის. „ლივერპული“ უდიდესი კლუბია და აქ უნდა გავითქვა სახელი. დარწმუნებული ვარ, ამის შანსს რაფაელ ბენიტესი მომცემს“.

ირაკლი ნინიძე

ეს გაგო მეც მოიწონს!

„რეალი“ და „ბარსა“ გაგოსთვის ჩხუბობენ

რა თქმა უნდა, მადრიდის „რეალს“ დაუძინებელი მტერი „ბარსელონა“ ყველაფერში უნდა გადაეღობოს. ახლა ესპანურ-კატალონიური გრანდები ერთმანეთს არგენტინაში დაეტაკნენ, ხოლო მათ შორის მორიგი ომის მიზეზი „ბოკა ხუნიორსის“ ვარსკვლავი ფერნანდო გაგოა.

„ლა ბონბონერას“ ნახევარმცველი თითქოს მომავალ სეზონში „რეალში“ უნდა გადასულიყო. რამდენიმე დღის წინ არგენტინაში სამეფო გუნდის სპორტული დირექტორის მოადგილე ფრანკო ბალდინი ჩავიდა, რათა პატაგონიელებთან სამომავლო ტრანსფერის ამბავი დაეზუსტებინა. სევდანარევი იყო „ბოკა ხუნიორსის“ პრეზიდენტ მაურისიო მაკრის განცხადება, ალბათ, გაგოს გუნდში ვეღარ შევინარჩუნებთო. თავად ფეხბურთელიც არ მალავდა აღფრთოვანებას, „რეალში“ მივდივარო, თუმცა... გუშინ პატაგონიას „ბარსელონას“ ტექნიკური დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი ეწვია, რათა კვირას იქაურთა ელ კლასიკოს, „რივერ პლეიტსა“ და „ბოკა ხუნიორსს“ შორის მორიგ ომს დაესწროს და შემდეგ სენიორ მაკრის, ფერნანდო გაგოს „კამპ ნოუზე“ გადასვლის შესახებ მოელაპარაკოს. გრანდთა სასურველი ფერნანდო სად მოხვდება, ჯერ არავინ იცის, ისე კი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 20 მილიონი დოლარია.

ლადო ხომერიკი

კაქტუსი კლინსისთვის

იურგენ კლინსმანი

16 ნოემბერს მექსიკის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების მწვრთნელს დაასახელებს. კაქტუსისქვეყნელთა ნაკრების დამრიგებელი, სამი კანდიდატიდან ერთ-ერთი გახდება. ეს სამნი კი მექსიკელი უგო სანჩესი, გერმანელი იურგენ კლინსმანი და არგენტინელი ამერიკო გალიეგო არიან. ეროვნული გუნდის ახალდანიშნულ მწვრთნელს პირველი სერიოზული გამოცდა მომავალ წელს ვენესუელაში, კოპა ამერიკას მატჩებისას ელის.

სანჩესის, კლინსმანისა და გალიეგოს სამეული მექსიკელ მწვრთნელთა საგანგებო კომისიამ დაადგინა. ფედერაციამ ნაკრების თავკაცის არჩევა ადგილობრივი გუნდების — „გვადალახარას“, „ატლანტეს“, „პუმასის“, „ტეკოსის“ და „ხაგუარესის“ — მწვრთნელებს მიანდო და მათაც ჯერჯერობით ყველაზე გამორჩეულები დაასახელეს.

კომისია მომავალი რამდენიმე კვირის განმავლობაში ფეხბურთის ფედერაციას საბოლოო პასუხს წარუდგენს. შეგახსენებთ, რომ უგო სანჩესი მექსიკური „ნეკაქსას“ მწვრთნელია, გალიეგო „ტოლუკას“ ხელმძღვანელობას, ხოლო იურგენ კლინსმანი გერმანიის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ უმუშევარია.

ფეხბურთის ფედერაცია ირწმუნება, რომ ახალ მწვრთნელს სრულიად მექსიკა, ეროვნული გუნდიდან „ბოკა ხუნიორსში“ გადაბარგებული რიკარდო ლავოლპეს მსგავსად, სრულ ნდობას გამოუცხადებს.

ლადო ხომერიკი

სარგებელი კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. I ლიგა						
		6 ოქტომბერი						
22:45	2	იოვილი-ჩელტენემი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
22:45	3	დონკასტერი-ოლდემი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
22:45	4	სუონსი-ტრანმერი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
22:45	5	ბორნმუთი-ნორთჰემპტონი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
		7 ოქტომბერი						
15:15	6	ნოტინგემი-სკანთორპი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
16:00	7	ბრედფორდი-ჰადერსფილდი	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
18:00	8	ლეიტონი-ჩესტერფილდი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
16:00	9	ბრენტფორდი-ბრისტოლი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
17:00	10	კარლაილი-მილუოლი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
18:00	11	ქრიუ-ჯილინგემი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
		8 ოქტომბერი						
16:30	12	ბრაიტონი-ბლეკპული	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
17:00	13	პორტ ვეილი-როტერჰემი	1.85	3.30	3.75	1.18	1.23	1.75
		ინგლისი. II ლიგა						
		6 ოქტომბერი						
22:30	14	დარლინგტონი-როჩდეილი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
22:45	15	ჩესტერი-უოლსოლი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
22:45	16	უიკომბი-ტორკი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
22:45	17	ლინკოლნი-ჰარტლპული	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
22:45	18	დონსი-პიტერბრო	1.80	3.30	4.20	1.16	1.25	1.84
22:45	20	შრიუსბერი-მაკლსფილდი	1.60	3.30	5.50	1.07	1.23	2.06
		7 ოქტომბერი						
17:00	19	მენსფილდი-ნოტსი	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
18:00	21	აკრინგტონი-სუინდონი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	22	როვერსი-ბოსტონი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	23	სტოკპორტი-ბარნეტი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		8 ოქტომბერი						
19:00	25	გრიმსბი-ჰერეფორდი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ინგლისი. კონფერენსი						
		6 ოქტომბერი						
22:45	41	იორკი-ალდერშოტი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
22:45	44	რაშდენი -სტივენეიჯი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
22:45	45	უოკინგი-ბარტონი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
22:45	47	ფორესტ გრინი-ოქსფორდი	5.50	3.60	1.55	2.17	1.20	1.08
		7 ოქტომბერი						
16:00	39	ქროული-მორეკომბი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
17:00	40	საუთპორტი-სტ.ალბანსი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
16:00	42	ალტრინჰემი-ვეიმუთი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
18:00	43	დაგ ენდ რედი-ნორთვიჩი	1.60	3.00	5.30	1.04	1.22	1.91
18:00	46	ექსეტერი-ჰალიფაქსი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
18:00	48	გრეივსენდი-კემბრიჯი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
16:00	49	კიდერმინსტერი-გრეისი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
		8 ოქტომბერი						
18:00	38	ტემუორთი-სტ.რეინჯერსი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		7 ოქტომბერი						
17:45	568	ელგინი-ისტ ფაიფი	5.50	3.70	1.50	2.21	1.17	1.06
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		7 ოქტომბერი						
19:30	57	შო დე ფონი-ვოლენი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
19:45	58	იუვენტუსი-ბოლმი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
21:30	60	კიასო-ქსამაქსი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
		8 ოქტომბერი						
16:30	59	ვილი-ვინტერთური	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
16:30	61	ბელინცონა-ლუგანო	1.95	3.20	3.35	1.21	1.23	1.63
16:30	62	დელემონი-კრინსი	4.40	3.40	1.65	1.91	1.20	1.11
17:00	63	სერვეტი-კონკორდია	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
18:00	64	ლოზანა-ლოკარნო	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
		იტალია. სერია B						
		8 ოქტომბერი						
17:00	66	ალბინოლეფე-სპეცია	2.15	2.70	3.65	1.19	1.35	1.55
17:00	70	ჯენოა-არეცო	1.50	3.30	7.50	1.03	1.25	2.29
17:00	72	მანტოვა-ვიჩენცა	1.65	2.90	6.30	1.05	1.30	1.98
17:00	73	მოდენა-პესკარა	1.75	2.80	5.50	1.07	1.32	1.85
17:00	74	ნაპოლი-რიმინი	1.60	3.20	6.00	1.06	1.26	2.08
17:00	75	ტრევიზო-პიაჩენცა	1.95	2.70	4.50	1.13	1.36	1.68
17:00	76	ვერონა-კროტონე	1.80	2.80	4.80	1.09	1.30	1.76
		9 ოქტომბერი						
22:45	67	ბარი-ბოლონია	2.55	2.70	2.80	1.31	1.33	1.37
		იტალია. სერია C1/A						
		7 ოქტომბერი						
17:00	85	პრო სესტო-კრემონეზე	2.00	2.60	4.00	1.13	1.33	1.57
		8 ოქტომბერი						
17:00	78	ჩიტადელა-ნოვარა	1.75	2.70	5.30	1.06	1.31	1.78
17:00	79	გროსეტო-ლუკეზე	2.50	2.60	3.00	1.27	1.36	1.39
17:00	80	ივრეა-მონცა	3.10	2.60	2.40	1.41	1.35	1.24
17:00	81	პავია-სასუოლო	2.10	2.60	3.70	1.16	1.33	1.52
19:00	82	პიზა-პადოვა	2.30	2.60	3.30	1.22	1.35	1.45
17:00	83	პიზიგეტონე-მასესე	2.40	2.60	3.00	1.24	1.33	1.39
17:00	84	პრო პატრია-სანჯოვანეზე	1.90	2.60	4.60	1.09	1.34	1.66
17:00	86	ვენეცია-პისტოიეზე	1.80	2.70	4.80	1.08	1.30	1.72
		იტალია. სერია C1/B						
		8 ოქტომბერი						
17:00	87	ჩავეზე-გალიპოლი	2.00	2.60	4.10	1.13	1.34	1.59
17:00	89	სტაბია-ტერნანა	1.85	2.70	4.80	1.09	1.33	1.72
17:00	90	ლანჩანო-ჯულიანოვა	1.50	3.20	6.70	1.02	1.22	2.16
17:00	91	პერუჯა-ანკონა	1.80	2.70	5.00	1.08	1.32	1.75
17:00	92	რავენა-მარტინა	1.40	3.40	8.00	1.00	1.19	2.38
17:00	93	სამბენედეტეზე-სან მარინო	2.40	2.60	3.20	1.24	1.37	1.43
17:00	94	ტარანტო-მანფრედონია	1.90	2.60	4.60	1.09	1.34	1.66
17:00	95	ტერამო-სალერნიტანა	2.40	2.60	3.10	1.24	1.35	1.41
		9 ოქტომბერი						
22:45	88	ფოჯა-აველინო	2.30	2.60	3.30	1.22	1.35	1.45
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		7 ოქტომბერი						
20:30	96	სპორტინგი-ვეცინდარიო	1.55	3.30	6.00	1.05	1.23	2.12
20:00	99	ნუმანსია-ტენერიფე	1.75	3.10	4.50	1.11	1.25	1.83
20:00	103	ეხიდო-ელჩე	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
20:00	105	ვალიადოლიდი-ლორკა	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
		8 ოქტომბერი						
22:30	97	ლას პალმასი-რეალი(ბ)	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
20:00	98	ჰერკულესი-კადისი	2.55	2.90	2.65	1.35	1.29	1.38
19:00	100	ალავესი-ალმერია	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
22:30	101	ალბასეტე-მურსია	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
19:30	102	სიუდადი-მალაგა	2.40	2.90	2.80	1.31	1.29	1.42
20:00	104	სალამანკა-კასტელონი	1.80	3.10	4.20	1.13	1.25	1.78
20:00	106	სერესი-პონფერადინა	1.70	3.20	4.70	1.11	1.24	1.90
		ბელგია. II დივიზიონი						
		7 ოქტომბერი						
21:30	108	დესელი-მეხელენი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
22:00	109	ტუბეკე-ჰევერლე	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
22:00	110	ანტვერპენი-კორტრაიკი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:00	111	დაინცე-ვიგორი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
22:00	112	ეუპენი-რონსე	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
22:00	113	ვაასლანდი-ვირტონი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
		8 ოქტომბერი						
17:00	114	სტ.ჟილი-ვარეგემი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
17:00	115	დენდერი-ლომელი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
17:00	116	ტინენი-ოსტენდე	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		6 ოქტომბერი						
22:00	117	იგლსი-ეინდჰოვენი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
22:00	118	ჰელმონდი-ზვოლე	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
22:00	119	ჰაარლემი-დორდრეხტი	2.40	3.30	2.50	1.38	1.22	1.42
22:00	120	მაასტრიხტი-ვეენდამი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაბაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	121	როზენდალი-ვენლო	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
22:00	122	ოსი-აპელდორნი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
22:00	123	ვოლენდამი-ალმერე	1.35	4.00	8.50	1.00	1.16	2.72
22:00	124	კამბური-სიტარდი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
22:00	125	გრააფსხაპი-დენ ბოსხი	2.35	3.30	2.65	1.37	1.24	1.46
22:00	126	ემენი-ტელსტარი	2.15	3.30	2.95	1.30	1.24	1.55
		დანია. I დივიზიონი						
		8 ოქტომბერი						
17:00	140	ჰერფიოლგე-სიონდერიისკე	4.00	3.50	1.70	1.86	1.19	1.14
17:00	141	ნესტვედი-ორჰუსი ფრ	1.75	3.60	3.60	1.17	1.17	1.79
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		8 ოქტომბერი						
17:00	143	ბრინი-ტრომსდალენი	1.45	3.90	7.00	1.05	1.20	2.50
17:00	144	ფოლო-მოსი	2.40	3.70	2.45	1.45	1.21	1.47
17:00	145	ჰიოდი-ლოვ ჰამი	2.40	3.70	2.45	1.45	1.21	1.47
17:00	146	კონგსვინგერი-ჰაუგესუნდი	1.75	3.70	4.00	1.18	1.21	1.92
17:00	147	ჰიონეფოსი-სპარტა ს	2.00	3.70	3.10	1.29	1.21	1.68
21:00	149	სტრიომსგოდსეტი-ალესუნდი	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
		9 ოქტომბერი						
21:00	150	ბოდიო გლიმტი-ჰორს გრენლანდი	1.40	4.20	7.00	1.04	1.16	2.62
		შვედეთი. სუპერეტა						
		7 ოქტომბერი						
18:00	152	ბრომაპოიკარნა-ნორჩიოპინგი	1.75	3.50	4.20	1.16	1.23	1.90
		8 ოქტომბერი						
18:00	153	დეგერფორსი-ლანდსკრონა	1.95	3.40	3.20	1.23	1.21	1.64
18:00	154	ფალკენბერგი-იონკოპინგი	1.85	3.40	3.55	1.19	1.21	1.73
18:00	155	ლიუნგსკილე-ტრელებორგი	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
18:00	156	იორებრო-ქვიდინგი	1.15	5.80	12.00	1.00	1.04	3.91
17:00	158	უმეა-მიალბი	3.70	3.40	1.85	1.77	1.23	1.19
		9 ოქტომბერი						
21:00	159	ატვიდაბერგი-ასირისკა	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		ირლანდია						
		6 ოქტომბერი						
22:45	160	სტ.პატრიკსი-დროგედა	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
22:45	161	დუბლინი-ბრეი	1.60	3.40	5.10	1.08	1.21	2.03
22:45	162	უოტერფორდი-შელბურნი	5.70	3.60	1.50	2.20	1.18	1.05
22:45	163	დერი-ბოჰემიანი	1.45	3.70	6.20	1.04	1.17	2.31
22:45	164	კორკი-ლონგფორდი	1.33	4.30	7.50	1.01	1.12	2.73
		იაპონია						
		6 ოქტომბერი						
14:00	165	კიოტო-ომია	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
		7 ოქტომბერი						
09:00	166	ნიიგატა-იოკოჰამა	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
09:00	167	ნაგოია-ტოკიო	1.85	3.20	3.50	1.17	1.21	1.67
10:00	168	ჩერეძო-შიმიცუ	3.20	3.20	1.95	1.60	1.21	1.21
10:00	169	ფუკუოკა-კაშიმა	3.50	3.20	1.85	1.67	1.21	1.17
10:00	170	ივატა-გამბა	3.00	3.20	2.05	1.54	1.21	1.24
10:00	171	კავასაკი-ოიტა	1.75	3.30	3.80	1.14	1.19	1.76
10:00	172	ურავა-იჩიჰარა	1.50	3.60	5.00	1.05	1.15	2.09
13:00	173	კოფუ-ჰიროსიმა	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
		აშშ						
		7 ოქტომბერი						
23:45	174	ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
23:45	175	ჩიკაგო-კოლამბუსი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
23:45	176	დალასი-ლოს ანჯელესი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
23:45	177	კანზასი-ჩივასი	2.15	3.20	2.95	1.28	1.24	1.53
23:45	178	კოლორადო-ნიუ იორკი	1.95	3.20	3.45	1.21	1.24	1.66
23:45	179	სოლტ ლეიკი-ჰიუსტონი	2.35	3.10	2.70	1.33	1.25	1.44
		არგენტინა						
		6 ოქტომბერი						
23:45	189	ხიმნასია ლპ-სან ლორენსო	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
23:45	197	ნუევა ჩიკაგო-როსარიო	2.30	3.20	2.60	1.33	1.22	1.43
		7 ოქტომბერი						
23:45	190	გოდოი კრუზი-ინდეპენდიენტე	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
23:45	191	ლანუსი-ესტუდიანტესი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
23:00	193	არგენტინოს ხუნიორსი-ხიმნასია ე	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
23:45	195	ველესი-ბანფილდი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
23:00	196	არსენალი-კილმესი	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
		8 ოქტომბერი						
22:30	192	ნიუელხი-ბელგრანო	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
21:00	194	რასინგი-კოლონი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
23:10	198	რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
		ამხანაგური მატჩები						
		6 ოქტომბერი						
20:00	242	ლიხტენშტაინი-აუსტრია	11.00	4.70	1.20	3.29	1.08	1.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		7 ოქტომბერი						
23:00	243	კუვეიტი-ბრაზილია	15.00	6.00	1.13	4.28	1.05	1.00
		8 ოქტომბერი						
13:30	244	ავსტრალია-პარაგვაი	2.10	3.00	3.25	1.23	1.27	1.55
14:00	245	სამხრეთ კორეა-განა	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
23:45	246	იამაიკა-კანადა	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		6 ოქტომბერი						
19:00	373	ტრუინეკი-ზლინი	2.05	4.20	2.30	1.37	1.08	1.48
19:00	374	ვსეტინი-ვიტკოვიცე	2.50	4.20	1.90	1.56	1.07	1.30
19:30	375	ზნოიმო-ლიტვინოვი	1.75	4.20	2.90	1.23	1.09	1.71
19:30	376	ბუდეიოვიცე-სპარტა	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
20:30	378	ლიბერეკი-კლადნო	1.50	4.40	3.80	1.11	1.07	2.03
21:00	379	სლავია-პარდუბიცე	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
		7 ოქტომბერი						
20:00	377	კარლოვი ვარი-პლზენი	2.00	4.20	2.30	1.35	1.06	1.48
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		6 ოქტომბერი						
19:00	387	პოპრადი-სლოვანი	2.40	4.10	2.00	1.51	1.09	1.34
19:30	389	კოშიცე-ტრენჩინი	1.85	4.10	2.50	1.27	1.06	1.55
19:00	390	მარტინი-ნიტრა	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
19:30	391	ჟილინა-მიკულაში	1.55	4.30	3.40	1.13	1.06	1.89
		ჰოკეი. გერმანია						
		6 ოქტომბერი						
21:30	404	ჰანოვერი-ინგოლშტადი	2.00	4.20	2.30	1.35	1.06	1.48
21:30	405	ჰამბურგი-იზერლონი	1.55	4.50	3.50	1.15	1.07	1.96
21:30	406	ნიურნბერგი-სტრაუბინგი	1.35	4.80	4.50	1.05	1.03	2.32
21:30	407	დიუსელდორფი-მანჰაიმი	2.20	4.20	2.15	1.44	1.08	1.42
21:30	408	კიოლნი-აისბარენი	1.85	4.50	2.50	1.31	1.06	1.60
21:30	409	აუგსბურგი-ფრანკფურტი	2.30	4.30	2.05	1.49	1.08	1.38
		ჰოკეი. შვეიცარია						
		6 ოქტომბერი						
21:45	418	დავოსი-ლუგანო	2.05	4.20	2.30	1.37	1.08	1.48
21:45	419	ფრიბურგი-ციურიხი	2.20	4.00	2.20	1.41	1.10	1.41
21:45	420	სერვეტი-ამბრი	1.85	4.20	2.50	1.28	1.06	1.56
21:45	421	კლოტენი-ცუგი	1.50	4.50	3.80	1.12	1.07	2.06
21:45	422	ლანგნაუ-ბერნი	2.30	4.20	1.90	1.48	1.04	1.30
		ჰოკეი. რუსეთი						
		6 ოქტომბერი						
19:00	444	მედ-აკ ბარსი	3.00	4.30	1.55	1.76	1.02	1.13
19:00	445	დინამო მ-ნეფტეხიმიკი	1.45	4.50	3.50	1.09	1.02	1.96
		ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები						
		7 ოქტომბერი						
22:00	219	ბულგარეთი-ჰოლანდია	4.40	3.30	1.75	1.88	1.25	1.14
22:15	220	ხორვატია-ანდორა	1.01	15.00	30.00	1.00	1.00	10.00
20:30	221	კვიპროსი-ირლანდია	6.50	4.00	1.40	2.47	1.15	1.03
19:15	222	ჩეხეთი-სან მარინო	1.01	15.00	30.00	1.00	1.00	10.00
22:30	223	საბერძნეთი-ნორვეგია	2.05	3.10	3.50	1.23	1.29	1.64
21:45	224	უნგრეთი-თურქეთი	3.10	3.10	2.20	1.54	1.28	1.28
22:50	225	იტალია-უკრაინა	1.50	3.50	7.00	1.04	1.23	2.33
20:00	226	მოლდოვა-ბოსნია	2.85	3.00	2.35	1.46	1.28	1.31
23:45	227	პორტუგალია-აზერბაიჯანი	1.03	9.00	30.00	1.00	1.00	6.92
21:15	228	რუმინეთი-ბელარუსი	1.35	4.10	8.00	1.01	1.15	2.71
19:00	229	რუსეთი-ისრაელი	1.55	3.40	6.40	1.06	1.24	2.22
22:15	230	სერბეთი-ბელგია	1.60	3.40	5.20	1.08	1.22	2.05
22:45	231	სლოვენია-ლუქსემბურგი	1.05	8.50	28.00	1.00	1.01	6.52
18:00	232	უელსი-სლოვაკეთი	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
19:00	233	ყაზახეთი-პოლონეთი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
18:00	234	ფარერები-ლიტვა	10.00	4.40	1.30	3.05	1.15	1.00
20:00	235	სომხეთი-ფინეთი	5.90	3.70	1.55	2.27	1.22	1.09
20:00	236	ინგლისი-მაკედონია	1.08	8.00	22.00	1.00	1.02	5.86
20:00	237	შოტლანდია-საფრანგეთი	5.00	3.30	1.65	1.98	1.24	1.10
22:00	238	შვედეთი-ესპანეთი	2.80	3.10	2.40	1.47	1.29	1.35
22:00	239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.20	5.50	13.00	1.00	1.09	3.86
22:00	240	ლატვია-ისლანდია	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
		ეჩ 2007 პლეი ოფი (21)						
		6 ოქტომბერი						
19:30	248	ჩეხეთი(21)-ბოსნია(21)	1.40	3.80	7.50	1.02	1.17	2.52
23:00	249	ინგლისი(21)-გერმანია(21)	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
23:00	251	იტალია(21)-ესპანეთი(21)	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
18:00	252	რუსეთი(21)-პორტუგალია(21)	2.60	3.10	2.55	1.41	1.28	1.39
17:00	253	სერბეთი(21)-შვედეთი(21)	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
		7 ოქტომბერი						
20:00	247	ბელგია(21)-ბულგარეთი(21)	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:00	250	საფრანგეთი(21)-ისრაელი(21)	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10219	ბულგარეთი-ჰოლანდია	5.30	2.10	2.05	1.50	1.47	1.03
10221	კვიპროსი-ირლანდია	6.00	2.40	1.75	1.71	1.35	1.01
10223	საბერძნეთი-ნორვეგია	2.45	2.00	3.85	1.10	1.49	1.31
10224	უნგრეთი-თურქეთი	3.50	2.00	2.60	1.27	1.49	1.13
10225	იტალია-უკრაინა	1.90	2.10	6.00	1.00	1.44	1.55
10226	მოლდოვა-ბოსნია	3.25	2.00	2.75	1.23	1.48	1.15
10228	რუმინეთი-ბელარუსი	1.75	2.40	6.50	1.01	1.37	1.75
10229	რუსეთი-ისრაელი	1.90	2.10	6.00	1.00	1.44	1.55
10230	სერბეთი-ბელგია	2.05	2.10	5.20	1.03	1.47	1.49
10232	უელსი-სლოვაკეთი	2.70	2.00	3.30	1.14	1.48	1.24
10233	ყაზახეთი-პოლონეთი	6.50	2.20	1.85	1.64	1.44	1.00
10235	სომხეთი-ფინეთი	5.50	2.20	1.95	1.57	1.43	1.03
10237	შოტლანდია-საფრანგეთი	5.50	2.00	2.05	1.46	1.49	1.01
10238	შვედეთი-ესპანეთი	3.15	2.00	2.85	1.22	1.49	1.17
10239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.45	2.80	8.00	1.00	1.22	2.07
10240	ლატვია-ისლანდია	2.55	2.00	3.75	1.12	1.51	1.30

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11219	ბულგარეთი-ჰოლანდია	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11221	კვიპროსი-ირლანდია	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.90
11223	საბერძნეთი-ნორვეგია	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11224	უნგრეთი-თურქეთი	4.50	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	10.00	3.30
11225	იტალია-უკრაინა	2.00	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11226	მოლდოვა-ბოსნია	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11228	რუმინეთი-ბელარუსი	1.70	15.00	25.00	3.50	5.00	12.00	20.00	12.00	12.00
11229	რუსეთი-ისრაელი	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11230	სერბეთი-ბელგია	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11232	უელსი-სლოვაკეთი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11233	ყაზახეთი-პოლონეთი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.80
11235	სომხეთი-ფინეთი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	2.00
11237	შოტლანდია-საფრანგეთი	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11238	შვედეთი-ესპანეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.40	15.00	3.50	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11240	ლატვია-ისლანდია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		მეტ.	ნაკ.
12219	ბულგარეთი-ჰოლანდია	1.70	1.90
12221	კვიპროსი-ირლანდია	1.70	1.90
12223	საბერძნეთი-ნორვეგია	1.60	2.00
12224	უნგრეთი-თურქეთი	1.70	1.90
12225	იტალია-უკრაინა	1.70	1.90
12226	მოლდოვა-ბოსნია	1.60	2.00
12228	რუმინეთი-ბელარუსი	1.90	1.70
12229	რუსეთი-ისრაელი	1.70	1.90
12230	სერბეთი-ბელგია	1.70	1.90
12232	უელსი-სლოვაკეთი	1.60	2.00
12233	ყაზახეთი-პოლონეთი	1.90	1.70
12234	ფარერები-ლიტვა	2.30	1.40
12235	სომხეთი-ფინეთი	1.70	1.90
12237	შოტლანდია-საფრანგეთი	1.70	1.90
12238	შვედეთი-ესპანეთი	1.60	2.00
12239	დანია-ჩრდ.ირლანდია	2.00	1.60
12240	ლატვია-ისლანდია	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13219	ბულგარეთი-ჰოლანდია	1.70	1.90
13221	კვიპროსი-ირლანდია	1.90	1.70
13223	საბერძნეთი-ნორვეგია	1.70	1.90
13224	უნგრეთი-თურქეთი	1.70	1.90
13225	იტალია-უკრაინა	1.90	1.70
13226	მოლდოვა-ბოსნია	1.70	1.90
13228	რუმინეთი-ბელარუსი	1.90	1.70
13229	რუსეთი-ისრაელი	1.70	1.90
13230	სერბეთი-ბელგია	1.70	1.90
13232	უელსი-სლოვაკეთი	1.70	1.90
13233	ყაზახეთი-პოლონეთი	1.90	1.70
13235	სომხეთი-ფინეთი	1.70	1.90
13237	შოტლანდია-საფრანგეთი	1.70	1.90
13238	შვედეთი-ესპანეთი	1.70	1.90
13239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.90	1.70
13240	ლატვია-ისლანდია	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება ჩაითვლება)

14219	ბულგარეთი-ჰოლანდია	2.50	1.30
14221	კვიპროსი-ირლანდია	2.60	1.20
14223	საბერძნეთი-ნორვეგია	1.65	2.20
14224	უნგრეთი-თურქეთი	2.10	1.70
14225	იტალია-უკრაინა	1.30	2.40
14226	მოლდოვა-ბოსნია	2.00	1.80
14228	რუმინეთი-ბელარუსი	1.20	2.60
14229	რუსეთი-ისრაელი	1.30	2.50
14230	სერბეთი-ბელგია	1.35	2.50
14232	უელსი-სლოვაკეთი	1.80	2.00
14233	ყაზახეთი-პოლონეთი	2.60	1.25
14234	ფარერები-ლიტვა	2.90	1.03
14235	სომხეთი-ფინეთი	2.50	1.30
14237	შოტლანდია-საფრანგეთი	2.40	1.45
14238	შვედეთი-ესპანეთი	1.95	1.85
14239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.04	2.90
14240	ლატვია-ისლანდია	1.75	2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15219	ბულგარეთი-ჰოლანდია	3.00	2.80	2.00
15221	კვიპროსი-ირლანდია	3.00	2.80	2.00
15223	საბერძნეთი-ნორვეგია	3.00	2.80	2.00
15224	უნგრეთი-თურქეთი	3.00	2.80	2.00
15225	იტალია-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15226	მოლდოვა-ბოსნია	3.00	2.80	2.00
15228	რუმინეთი-ბელარუსი	3.00	2.80	2.00
15229	რუსეთი-ისრაელი	3.00	2.80	2.00
15230	სერბეთი-ბელგია	3.00	2.80	2.00
15232	უელსი-სლოვაკეთი	3.00	2.80	2.00
15233	ყაზახეთი-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15234	ფარერები-ლიტვა	3.00	2.80	2.00
15235	სომხეთი-ფინეთი	3.00	2.80	2.00
15237	შოტლანდია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15238	შვედეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15239	დანია-ჩრდ.ირლანდია	3.00	2.80	2.00
15240	ლატვია-ისლანდია	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16219	ბულგარეთი-ჰოლანდია	3.20	1.25
16221	კვიპროსი-ირლანდია	4.00	1.12
16223	საბერძნეთი-ნორვეგია	1.45	2.35
16224	უნგრეთი-თურქეთი	2.20	1.50
16225	იტალია-უკრაინა	1.15	3.80
16226	მოლდოვა-ბოსნია	1.90	1.60
16228	რუმინეთი-ბელარუსი	1.12	4.40
16229	რუსეთი-ისრაელი	1.20	3.30
16230	სერბეთი-ბელგია	1.25	3.20
16232	უელსი-სლოვაკეთი	1.45	2.30
16233	ყაზახეთი-პოლონეთი	4.20	1.13
16235	სომხეთი-ფინეთი	3.20	1.20
16237	შოტლანდია-საფრანგეთი	3.10	1.25
16238	შვედეთი-ესპანეთი	1.90	1.60
16239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.03	6.50
16240	ლატვია-ისლანდია	1.45	2.30

გოლი:ფსვილი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსვილად)

17219	ბულგარეთი-ჰოლანდია	1.85	1.95
17221	კვიპროსი-ირლანდია	1.85	1.95
17223	საბერძნეთი-ნორვეგია	1.85	1.95
17224	უნგრეთი-თურქეთი	1.85	1.95
17225	იტალია-უკრაინა	1.85	1.95
17226	მოლდოვა-ბოსნია	1.85	1.95
17228	რუმინეთი-ბელარუსი	1.85	1.95
17229	რუსეთი-ისრაელი	1.85	1.95
17230	სერბეთი-ბელგია	1.85	1.95
17232	უელსი-სლოვაკეთი	1.85	1.95
17233	ყაზახეთი-პოლონეთი	1.85	1.95
17234	ფარერები-ლიტვა	1.85	1.95
17235	სომხეთი-ფინეთი	1.85	1.95
17237	შოტლანდია-საფრანგეთი	1.85	1.95
17238	შვედეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17239	დანია-ჩრდ.ირლანდია	1.85	1.95
17240	ლატვია-ისლანდია	1.85	1.95

ფაჩულიას კონკურენტის იდაყვი მოხვდა

30 ნაკერი რაიტისგან



ცუდი ამბავი შეემთხვა ზაზა ფაჩულიას, თუმც აქედანვე გეტყვით, რომ სანერვიულო არაფერია. მიუხედავად იმისა, რომ ზაზას მარჯვენა თვალის ზემოთ დაახლოებით 30 ნაკერი დაადეს, დღედღეზე ის ვარჯიშს შეუდგება.

შემთხვევა „ატლანტას“ სამშაბათის ვარჯიშზე მოხდა. ფაჩულიასთან ორთაბრძოლაში ნამეტანი მოუვიდა „ქორების“ ახალწვეულ ლორენც რაიტს, რომლის მოუზომლად მოქნეული იდაყვი ქართველს წარბთან მოხვდა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ფაჩულიას კანი გაუსკდა და მოედანი სისხლით შეიღება. ის მაშინვე ჰოსპიტალში გააქანეს და, როგორც „ატლანტა ჟორნალ ქონსტიტუშენი“ იუწყება, მარჯვენა თვალის ზემოთ დაახლოებით 30 ნაკერი დაადეს.

საერთოდ, რაიტი არ გამოირჩევა გადამეტებული აგრესიულობით, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად ძალიან მოიწადინა, რადგან „ატლანტელებმა“ ის ფაჩულიას შემცვლელად აიყვანეს და ლორენციც, ცხადია, ძირითადში ადგილის მოპოვებას ცდილობს.

ტრავმირებულმა ფაჩულიამ გააცდინა მეორე დღის დილის ვარჯიში და უკვე საღამოს აპირებდა გუნდთან შეერთებას, მაგრამ ექიმებმა მოცდა ურჩიეს. საქართველოს ნაკრების ლიდერი ვარჯიშს სავარაუდოდ დღეს შეუდგება, საგამოფენო მატჩებს კი „ატლანტა“ 11 ოქტომბერს იწყებს.

ირაკლი პერტაია

გიორგი ცინცაძე

ესტონეთის თასის ფინალში განცდილი მარცხისთვის გიორგი ცინცაძის „როკმა“ ტალინურ „კალევზე“ შური ეროვნულ ჩემპიონატში იძია. ტარტუელები კალენდარმა პირველივე ტურში ქვეყნის ერთ-ერთ ტიტულიან კლუბს დააჯახა, მაგრამ „როკმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და „კალევი“ სტუმრად წააქცია.

რაც ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნოა, კვლავ ჩინებულად ითამაშა გიორგი ცინცაძემ, რომელსაც, რაც „როკში“ გადავიდა, ჩავარდნა არ ჰქონია. გიო ტარტუელთა გუნდის მთავარი გამთამაშებელია და რაც კი ითამაშა, ყველგან ხუთეულში იყო. ცინცაძემ „კალევთან“ პრინციპული მატჩიც თითქმის შეუცვლელად ჩაატარა — ის მწვრთნელმა 36 წუთით დატოვა მოედანზე და სარგებელიც საკმარისად ნახა.

ცინცაძე როკში რვიანებს ხაზავს

ნაცვლიშვილის ისევ 2 და ჰერბერტის -2

ერთადერთი, რაშიც ქართველ მოთამაშეს ხელი მოეცარა, შორი სროლებია. ცინცაძემ ხუთიდან ყველა სამქულიანი ააცილა, თუმც ამით მას საერთო საქმე არ წაუხდენია — იმდენი სარგებელი მოჰქონდა, რომ მწვრთნელმა გამრუდებული მიზნის გამო მოედნიდან არ გაიხმო.

გიორგიმ, 10 ქულას რომ თავი დავანებოთ, 8 პასი მიითვალა და ეს მაშინ, როცა ტალინელებმა მთლიანობაში 9 მოაგროვეს. საერთოდ, ცინცაძეს მეპასეობაში მთელ ესტონეთში არ უნდა ჰყავდეს ბადალი. ბალტიის თასზე გამართულ მატჩში ქართველმა „ნევეჟის“ წინააღმდეგაც 8 პასი გამოაცხო. ის თამაში რაღაც საოცარი გამოვიდა, რადგან „როკი“ ერთხანს 25 ქულას აგებდა და ამხელა ჩამორჩენის გაბათილება რომ მოახერხა, მცირე სასწაულს წააგავს. ცინცაძემ 8 პასთან ერთად 10 ქულა და 5 მოხსნაც გამოჭედა.

თითქმის ანალოგიური შედეგი ჰქონდა გიოს „კალევთანაც“: 8 პასი, 10 ქულა და ერთით ნაკლები, 4 მოხსნა. „როკი“ ტალინშიც აგებდა, მაგრამ დიდებულად ჩაითამაშა მატჩის ბოლო მეოთხედი და ესტონური საზომით მრისხანე „კალევი“ ტალინში 10 ქულით დასცა.

სადაც ერთის, იქაც მეორე ლეგიონერის ვთქვათ — ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონმა“ გუშინწინ მორიგი მატჩი გამართა საფრანგეთის ჩემპიონატში. დიჟონელები ორი ტურის მერე წაუგებლად ლიდერობდნენ ფრანგულ ლიგას, მაგრამ ამჯერად მარცხი იწვნიეს და ცხრილში ოდნავ ჩამოჩოჩდნენ.

„დიჟონს“ მეტოქედ საკმაოდ ამბიციური „შალონი“ ჰყავდა, თანაც გასვლაზე თამაშობდა და მიუხედავად იმისა, რომ მთელი სამი მეოთხედი არაფერს თმობდა, საბოლოოდ მაინც წააგო — 62:71.

ნაცვლიშვილმა ტრადიციულად მცირე ხნით ითამაშა — 11 წუთი. მან არც ამჯერად დაარღვია ტრადიცია და, წინა ორი საჩემპიონატო მატჩის დარად, „შალონთანაც“ 2 ქულა მიითვალა. სამაგიეროდ, ვატო ამჯერად ფარზე უფრო იბრძოდა და საბოლოოდ 4 მოხსნას მოუყარა თავი, თუმც დიჟონელებს მაინც ვერაფერი უშველა.

დაბოლოს, გორდონ ჰერბერტის მორიგი წარუმატებლობის შესახებ. საქართველოს ნაკრების თავკაცი ხომ „პო ორტეზს“ ჩაუდგა სათავეში და საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე ტურში მისი გუნდი უკვე მეორედ დამარცხდა. პირველად ჰოელებმა „ლე ავრთან“ წააგეს 15 ქულით, გუშინ კი ჰერბერტის გუნდი „სტრასბურს“ დაეჩაგვრინა — 66:95.

ირაკლი პერტაია

მოკლე გზის მატჩი

ოცდაორი ქართველი რუმინეთშია

ხვალ საქართველოს ნაკრები სეზონის მთავარ მატჩს თამაშობს ბუქარესტში. საგაისო მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში ჩვენები მარად მეტოქეს, რუმინეთს შეერკინებიან. ამ ჯახს ორივე გუნდისთვის ფრიადი მნიშვნელობა აქვს: გამარჯვებული ჯგუფის მესამე მეტოქეს, ესპანეთს ნაღდად ხომ მოუგებს და მსოფლიოს თასზე პირდაპირ გავა. იქ კი ჯგუფში ლეგენდარულ ახალ ზელანდიას ჩაუჯდება, ვისთანაც თამაში ჩვენ კი არა, უფრო დიდ ნაკრებებსაც სანატრელი აქვთ

შაბათს ბუქარესტში დამარცხებულს მეორე და კიდევ მესამე შანსიც მიეცემა. შესარჩევის მეორე შანსი წლეულსვე, ნოემბერში იქნება. რუმინეთი-საქართველოს შორის წაგებული ნოემბერში რუსეთ-პორტუგალიას შორის უკეთესს შინ და გარეთ პრინციპით გაუმართავს ომს. ხოლო აქედანაც თუ არაფერი გამოვიდა, მერე გაისად თებერვალ-აპრილში რეპეშაჟია, რაც გასაგებ ენაზე სანუგეშო ეტაპს ნიშნავს. იქ ოკეანეთის ბედოვლათთან, ალბათ ტონგასთან იქნება ორრაუნდა ბრძოლა.

საქართველო რუმინეთს აქამდე რვაჯერ დაჯახებია და ბალანსი აშკარად კარპატელებისაა: რუმინელებმა 6-ჯერ მოუგეს ჩვენებს, მაშინ, როცა ქართველებმა ორჯერ მიანგრიეს მეტოქე, ერთხელ 2001 წელს ბუქარესტში, მეორედ კი შარშანწინ თბილისში.

ერთიცაა, რომ რუმინელებს აღარ ეყოლებათ მათი სული და გული, მოუსვენარი და ფეხჩუბინი მე-9 ნომერი პეტრე მიტუ, ვინც ნაკრებიდან 2003 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ წავიდა, მაგრამ დაფიცებულივით, საგანგებოდ ქართველების წინააღმდეგ უბრუნდებოდა საძმოს და მერე ისევ მხოლოდ საკლუბო რაგბიზე გადაერთვებოდა, ხოლმე. განსჯისთვის: რუმინეთმა მიტუიანად ხუთიდან ხუთი ჯახი მოუგო ჩვენებს, მის გარეშე კი ორჯერ გაიმარჯვეს ქართველებმა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. ასე რომ, შაბათს მიტუ არ ითამაშებს.

დანაკლისი აქვთ ქართველებსაც — აქამდე ტრავმირებულებს და ჩვენების საკვანძო მოთამაშეებს პალიკო ჯიმშელაძეს, აქვსენტი გიორგაძესა და დავით ხინჩაგაშვილს საფრანგეთის ჩემპიონატში დისკვალიფიცირებული რევაზ გიგაურიც დაემატა. თქმა არ უნდა, ეს ოთხეული ძალიან მოაკლდებათ ქართველ „ლელოებს“, მაგრამ ბედად საფრანგეთშივე დიდი დესანტი გვყავს და წლეულს ჩვენი ნაკრები ისე გემრიელადაც თამაშობს, რომ ეგებ ბუქარესტშივე, პირველივე ცდით გავიდნენ მსოფლიოს თასზე.

საამატჩოდ ქართველები საფრანგეთში, დაბა მასში აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც დაბანაკდნენ და ამ დილით ჩაფრინდებოდნენ რუმინეთში. ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა მალხაზ ჭეიშვილის, დავით ჩავლეიშვილისა და პაატა ნარიმანაშვილის სარდლობით შეკრებაზე მყოფი 35-კაცა შემადგენლობა გაცხრილა და ბუქარესტში საამმატჩოდ ოცდაორ მორაგბე იახლა. დანომრილი და ამპლუაგადანაწილებული შემადგენლობა, ტრადიციულად, მატჩის წინ, ანუ დღეს გამოცხადდება.

ერთიც, ამჯერზე ჩვენებსა და რუმინელებს შორის საცილო ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი არ გათამაშდება, რაკი მსოფლიო რაგბის ფედერაცია მსოფლიოს თასის ბრენდის გაზიარების სასტიკი წინააღმდეგია.

გაჩო სვანიძე

რუმინელებს მათი თილისმა პეტრე მიტუ არ ეყოლებათ

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

გაშალეთ ტატამი, რუსები მოდიან

„იავარა ნევას“ ლიდერი ტამერლან ტმენოვი ჩემპიონთა თასით

21 ოქტომბერს თბილისი ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. სპორტის სასახლეში ქართული „საგარეჯო“, რუსული „იავარა ნევა“, გერმანული „აბენსბერგი“ და თურქული „ისტამბული“ ერთმანეთში გაარკვევენ ევროპული ძიუდოს უძლიერესი კლუბის ვინაობას.

ამ დღეებში გავრცელდა ხმა, თითქოს რუსები საქართველოში ჩამოსვლაზე უარს აცხადებდნენ, თუმცა, როგორც ძიუდოს ფედერაციიდან გვაცნობეს, ოფიციალური ინფორმაცია მათთვის არავის მიუწოდებია. რუსული დელეგაცია თბილისში ვიზიტისთვის თადარიგს აქედანვე იჭერს და უკვე იქაურ ფედერაციას განაცხადიც კი გამოუგზავნია.

„მოსკოვური კლუბი ევროპის მოქმედი ჩემპიონია და არ მგონია, ტიტულის დაცვის შანსი ხელიდან ასე იოლად გაუშვას — გვითხრა ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ უსუფაშვილმა — რუსული ფედერაციიდან ამ დღეებში 28-კაციანი სიაც მივიღეთ. მათგან 20 ძიუდოისტია, 8 კი დელეგაციის ოფიციალური წევრი. ტურნირს ევროპის ძიუდოს ფედერაციის რუსი ვიცე-პრეზიდენტი სერგეი სოლოვეიჩიკიც ეწვევა. მოსკოვური კლუბის შეფები ტელეფონითაც დაგვიკავშირდნენ და გვკითხეს, სავიზო პრობლემები ხომ არ შეგვექმნებაო. ვუთხარით, რომ ამ მხრივ შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ. ამ დღეებში ალბათ ზუსტ მარშრუტს და ჩამოსვლის თარიღსაც გვაცნობებენ.“

უსუფაშვილისვე თქმით, თადარიგი პირველებმა თურქებმა დაიჭირეს. მათი დელეგაცია თბილისში 20 ოქტომბერს ჩამოფრინდება. გერმანელებზე კი ჯერ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ 35-კაციანი შემადგენლობით მოდიან და გულშემატკივართა მცირე ჯგუფიც მოჰყავთ. ძიუდოისტთა გვარ-სახელებს და ზუსტ თარიღს დღე-დღეზე იტყვიან.

ოთარ მაღლაკელიძე

გოდერძი ველიჯანაშვილი საპეკინო ლიცენზიებს ელის

ახლახანს იყო, თბილისში პრეზიდენტის თასზე საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრებმა რომ იპირველა. ახლა ჩვენს გოგოებს 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის საგზურებისთვის მოუწევთ ჭიდაობა. თბილისური ტურნირის შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი **გოდერძი ველიჯანაშვილი** გვესაუბრა...



— პრეზიდენტის თასის აღების შემდეგ როგორ შეაფასებდით გუნდის გამოსვლას?

— წარმატებას ველოდით, მაგრამ ამდენს თუ მივაღწევდით, არ გვეგონა. ფინალში თურქეთს მოვუგეთ. თურქეთი კი ძლიერი ნაკრებია. მათ აზერბაიჯანელები დაამარცხეს, რომლებსაც ევროპის ორი პრიზიორი ჰყავთ.

— სეზონი პრეზიდენტის თასით დასრულდა, თუ კიდევ აპირებთ ტურნირებზე გამოსვლას?

— თასი ავიღეთ, მაგრამ სეზონი არ დასრულებულა. ყველაფერი ახლა იწყება. სადაც შესაძლებლობა გვექნება, ყველგან მივიღებთ მონაწილეობას. 26 ნოემბერს მოსკოვში ტარდება ევროპის ჩემპიონატი. დიდი სურვილი გვაქვს, იქაც მივიღოთ მონაწილეობა, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე დალაგდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

— კმაყოფილი ხართ მიღწეულით, თუ ფიქრობთ, რომ უფრო მეტი შეგეძლოთ?

— ამ ეტაპისთვის ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ახლა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრაა. ოლიმპიადისთვის უკვე შევარჩიეთ შვიდი საუკეთესო ძიუდოისტი.

— ნაკრებიდან ვინმემ იმედი ხომ არ გაგიცრუათ?

— ჩადულიანმა ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. მისთვის წაგება დროული იყო, რადგან მიხვდა, რომ მეტი უნდა ივარჯიშოს.

— გაისად პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები იწყება...

— გოგონები მონდომებულები არიან, უშედეგოდ არც ერთი ტურნირიდან არ დავბრუნებულვართ. ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ლიცენზიებს მოვიპოვებთ.

— სალიცენზიო ტურნირებისთვის როგორი დაფინანსება გაქვთ?

— დაფინანსებას არ ვუჩივით. ბოლნისის გამგებელი გიორგი არეკაძე ყველა პირობას გვიქმნის წარმატებული გამოსვლისთვის. ის ჩვენს შეხვედრებს ესწრებოდა და ნაკრებმა მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— რამდენად იზრდება ნაკრებში შიდა კონკურენცია?

— ახალი ძიუდოისტები კი შემოგვემატნენ, მაგრამ ქალთა ძიუდო საქართველოში არ არის მასობრივი და ამიტომ შიდა კონკურენცია არ იგრძნობა.

— რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

— მხარდაჭერას ყველა მხრიდან ვგრძნობთ. ამიერიდან ათ სალიცენზიო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. თებერვალში პირველი გასვლა გვექნება ბულგარეთში, შემდეგ პარიზსა და ჰამბურგში. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, მომავალ წელს რიო-დეჟანეიროში სალიცენზიო ტურნირზე ვივარგოთ და ამით პეკინის საგზური ადრევე მოვიპოვოთ.

ნათია რევაზიშვილი

მსოფლიოს ჩემპიონატი
ტურინი, იტალია,
30 სექტემბერი – 8 ოქტომბერი

გუნდური დაშნა უსაქართველოდ

ტურინში მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ კაცთა დაშნასა და ქალთა ხმალში გუნდური პირველობა გათამაშდებოდა.

ვვარაუდობდით, რომ საქართველოს დაშნით მოფარიკავეთა სამეული გუნდურ პირველობაში მონაწილეობას მიიღებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე მოცემულ 34-გუნდიან სიაში საქართველო არ ეწერა.

ეს 34 ნაკრები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი — 16 უძლიერესი და კიდევ 18 B ჯგუფში. უძლიერესთა შორის ჩვენები რომ არ იქნებოდნენ, ისედაც ნათელი იყო, მაგრამ საქართველო, რომელსაც ოდესღაც ფარიკაობაში უდიდესი ტრადიციები ჰქონდა და სხვა სახეობებს რომ თავი დავანებოთ, დაშნაში გურამ კოსტავათი იწონებს თავს, არც B ჯგუფში აღმოჩნდა, სადაც სალვადორის, ახალი წელანდიის, ნორვეგიის, სამხრეთ აფრიკის დარი გუნდები არიან, რომელთა ფარიკაობაც, სიმართლე რომ ვთქვათ, დღემდე არ გაგვიგია.

უძლიერესთა ჯგუფს რაც შეეხება, მერვედფინალში რამდენიმე საინტერესო შედეგი აღინიშნა. ფრანგებმა, რომლებიც ამ სახეობაში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან, 45:16 გაანადგურეს მუდამ ამბიციური რუსები. მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ რვა საუკეთესოს შორის კუვეიტის, ესპანეთისა და სამხრეთ კორეის გუნდების გასვლა. კორეელებმა, სულაც ისეთი საფარიკაო ტრადიციების მქონე გუნდი გაანადგურეს 45:22, როგორიც გერმანიაა.

მეოთხედფინალური მატჩებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ფრანგებისა და იტალიელების დაპირისპირება იწვევდა. პოლონელები კორეელებს ხვდებოდნენ, უკრაინელები — კუვეიტელებს, ხოლო ესპანელები — ჩინელებს.

მსოფლიოს ჩემპიონატი
სანტო დომინგო, დომინიკის რესპუბლიკა
30 სექტემბერი – 7 ოქტომბერი

რუსული წერტილი ჩინელ ქალებს

დღეს სანტო დომინგოში, კარიბის ზღვაში მდებარე დომინიკის რესპუბლიკის მთავარქალაქში, სადაც ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, ფიცარნაგზე ჩვენებურები ალბერტ კუზილოვი და დავით გოგია ავლენ. ახალგაზრდა ძალოსნებისგან მედლებს არავინ ელის, მათთვის მთავარი იმ გამოცდილების მიღებაა, რომელიც მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, პეკინის ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის ბრძოლაში აუცილებლად დასჭირდებათ.

მანამდე კი სანტო დომინგოში ჩინელ ქალთა ტრიუმფალურ სვლას რუსმა ოქსანა სლავენკომ დაუსვა წერტილი. ეს 69 კილოგრამამდე წონის დიაცთა შეჯიბრში მოხდა. მანამდე მედლები 63 კილოგრამიანებმა გაინაწილეს და ისევე, როგორც ქალთა წინა სამ წონაში, ოქრო ჩინელმა სპორტსმენმა მოიპოვა. ციუ სიო ფანმა პირველივე მოძრაობაში, ატაცში, 2 კილოგრამით აჯობა რუს სვეტლანა შიმკოვას და მერე, უკვე აკვრაში, თავისი უპირატესობა 5 კილომდე გაზარდა.

ჩინელი ქალები ზედიზედ მეხუთე ოქროს მოგებასაც გეგმავდნენ და ამ საქმეში ოლიმპიური ჩემპიონის ჩუნ ხონ ლის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს უკანასკნელი სლავენკომ პირწმინდად დაჩაგრა.

უკვე ატაცში რუსმა ჩინელს 11 კილოგრამი მოუგო და მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. აკვრაში ლი ვაბანკზე წავიდა, ერთბაშად მოინდომა დანაკარგის ანაზღაურება და სულაც ნულზე და შესაბამისად, უმედლოდ დარჩა.

ქალები

63 კგ

1. ციუ სიაო ფანი (ჩინეთი)	246კგ (110+136)
2. სვეტლანა შიმკოვა (რუსეთი)	241კგ (108+133)
3. მელინე დალუზიანი (სომხეთი)	232კგ (105+127)

69 კგ

1. ოქსანა სლავენკო (რუსეთი)	263კგ (123+140)
2. ტატიანა მატვეევა (რუსეთი)	245კგ (110+135)
3. ჟან-ელიზაბეტ ლასენი (კანადა)	238კგ (102+136)

4 ოქტომბერი

კაროლინა 2:3 ბაფალო

1:1 1:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტები)

0:1 პომინვილი (10), 1:1 სტაალი (15), 2:1 კოული (33), 2:2 დრური (36)

კოლორადო 2:3 დალასი

2:0 0:0 0:2 0:1

1:0 საკიკი (12), 2:0 ვოლსკი (13), 2:1 მოდანო (42), 2:2 ერიკსონი (42), 2:3 სიდორი (63)

ტორონტო 1:4 ოტავა

0:1 1:2 0:1

0:1 ივსი (20), 0:2 ნილი (31), 0:3 შუბერტი (32), 1:3 სუნდინი (33), 1:4 ალფრედსონი (60)

სალომე დევიძე

სალომეს სამაია ევგენიამ დაასრულა

20 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა სალომე დევიძემ, ვინც WTA-ს კლასიფიკაციაში მეექვსე ასეულის ბოლოს არის, წარმატებით დაძლია ამერიკული ქალაქ ტროის ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიჭიმა.

კვალიფიკაციაში დევიძემ სამ მეტოქეს აჯობა და აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი — კოლუმბიელი პაულა ზაბალა და ამერიკელები ალექსანდრა სტივენსონი და მერი გემბელი რეიტინგში ქართველზე მაღლა არიან. ამ სამეულიდან ყველაზე ზევით, 360-ე ადგილზე 17 წლის გემბელია, ვისაც სალომემ დაძაბულ სამსეტიან მატჩში 2:6 7:6 6:4 მოუგო და სწორედ ამ გამარჯვების შემდეგ მოიპოვა ძირითად ბადეში თამაშის უფლება.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში დევიძე 16 წლის რუსს ევგენია როდინას შეხვდა, ვისაც რეიტინგში 246-ე პოზიცია უკავია. ზედიზედ მეოთხე მაღალრეიტინგიან მეტოქეს ქართველი ვეღარ გაუმკლავდა — ევგენიამ სალომეს 6:2 6:1 მოუგო.

სამწუხაროდ, პირველივე წრეში დაასრულა ტროის მაგარსაფარზე თამაში მეორე ქართველმა სოფო მელიქიშვილმაც, ვისაც კიდევ ერთმა ამერიკელმა, რეიტინგის 272-ე საფეხურზე მყოფმა ტიფანი დებიკმა 7:5 6:0 აჯობა.

ჩავიდა და წავიდა

მორესმოს შტუტგარტში კორტი არ უნახავს



ელენა დემენტიევა

კაცები
ტოკიო. იაპონია
ჰარდი. საპრიზო 765 000 $

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 6:2 6:1; **ტაკაო სუძუკი** (იაპონია) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:7 7:6 6:1; **ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) — ვინსენტ სპადეა (15, აშშ) 6:4 7:6

კაცები
მეკი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 380 000 $

პირველი წრე

მარატ საფინი (რუსეთი) — მიხაილ იუჟნი (4, რუსეთი) 6:1 6:4; **სებასტიან გროუანი** (საფრანგეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:3 6:4

მეორე წრე

მარკ გიკუელი (საფრანგეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:2 6:3; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 1:6 6:3 7:6; **მარდი ფიში** (აშშ) — რუბენ რამირეს-იდალგო (ესპანეთი) 6:3 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 6:0 6:3

ქალები
შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 650 000 $

პირველი წრე

ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) — მარი პირსი (8, საფრანგეთი) 7:6 6:3; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) 6:1 6:4

მეორე წრე

ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 4:6 7:5 7:5; **მიძაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ამელი მორესმო საფრანგეთი) უარი; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — დინარა საფინა (7, რუსეთი) 6:2 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:4

ქალები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

მეორე წრე

იულია ფეოდოსოვა (საფრანგეთი) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 4:6 7:5 6:3; **აი სუგიამა** (2, იაპონია) — ვანია კინგი (აშშ) 6:4 5:7 7:5

ქალები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

მეორე წრე

ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) — **ტატიანა პუტჩეკი** (ბელარუსი) 6:4 6:4; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:4 6:4; **ოლგა პუჩკოვა** (6, რუსეთი) — ოლივია სანჩესი (საფრანგეთი) 7:5 6:1

როჯერ ფედერერი კვლავ გრგვინავს და ანგრევს მეტოქეებს. ახალბედა ტროიეკისთან ოდნავი წაფორხილება მორიგი გამონაკლისი გამოდგა — შვეიცარიელმა უკვე მეორე დღესვე დაამტკიცა თავისი უძლეველობა.

„მხიარულ როჯერს“ ამჯერად ცხელ გულზე ტოკიოს შარშანდელი ტრიუმფატორი ვესლი მუდი შემოხვდა და თავბედიც აწყევლინა. ალჰელმა დაიწყო და ერთი საათი ისე გალია სამხრეთაფრიკელის მიჩოგვნაში, რომ ოდნავადაც არ დაღლილა. ფედერერმა კიდევ ერთხელ ითამაშა თავის გემოზე, ლამაზად და ლაღად, და მაყურებელიც ფრიად ასიამოვნა.

შემდეგ წრეში შვეიცარიელის მეტოქე ერთწლიანი შესვენების შემდეგ კორტზე მობრუნებული მასპინძელი ტაკაო სუძუკი იქნება. იაპონელი, რომელიც დღესდღეობით ათასეულის მიღმა იმყოფება, მშვენივრად გამოიყენერება და ტრიბუნების მხარდაჭერით გულმოცემულმა ჯერ პარადონ შრიჩაპანი დასცა, მერე კი ალექსანდერ ვასკესაც მოუგო. თუმც იაპონელის სიხარული ალბათ აქ დამთავრდება, რადგანაც წინ ფედერერი ელის.

მეოთხედფინალს უწია მეორე ნომერმა ტომი რობრედომაც, რომელსაც ვინსენტ სპადეას დასამარცხებლად ორი სეტი ეყო. ამის მეტი ტოკიოში აღარაფერი მოესწრო, რადგანაც აზიაში ახლა მუსონების სეზონი დამდგარა და წვიმა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა.

მეცში კი ფავორიტების საქმე კვლავაც ჭაკად არის — ამჯერად ტურნირს მეოთხე ნომერი მიხაილ იუჟნი გამოეთხოვა, თუმც, წინა დღეებთან შედარებით, ფრანგებს ამაში არანაირი წვლილი აღარ მიუძღვით. მოსკოველის ცოდვა მისმა თანამემამულე მარატ საფინმა დაიდო, რომელიც სეზონის მეორე ნახევარში ცოტა გამოცოცხლდა და ერთი-ორი წრის გავლას ახერხებს ხოლმე.

საფრანგეთში შემორჩენილი ლამის ერთადერთი განთესილი მოთამაშე ნოვაკ ჯოკოვიჩია, რომელმაც მეოთხედფინალის საგზური იტალიელი ბრაჩიალის დამარცხებით გაინაღდა.

შტუტგარტის ტურნირს, რომელზეც მაყურებლები დიდი ჩოგბურთის ხილვას ელოდნენ, ტრავმებმა ბლომად ცნობილი ჩოგბურთელი გამოაკლო — კიმ კლასტერსი, ჟუსტინ ენენ-არდენი, ანასტასია მისკინა და ახლა უკვე ამელი მორესმოც, რომელიც გერმანიაში ჩავიდა, მაგრამ ბოლო მომენტში თამაშზე უარი განაცხადა.

ასეთ პირობებში შვაბურ მიწაზე ფავორიტებად რუსები დარჩნენ — ელენა დემენტიევა და სვეტლანა კუზნეცოვა დანარჩენებს ერთი თავით აღემატებიან, თუმც ამის დამტკიცება კორტზე მოუწევთ. ჯერჯერობით სლავები ამას სხვადასხვანაირი წარმატებით ახერხებენ — თუ კუზნეცოვამ იოლად გადალახა პირველი ბარიერი, დემენტიევამ მორიგი ტანჯვა-წამება გამოიარა კატარინა სრებოტნიკთან შეხვედრაში. ლენამ სეტიც წააგო, ტრავმაც მიიღო, ექიმებსაც დაუძახა და ჩოგნებიც ამტვრია, მაგრამ კლასის ხარჯზე მაინც მოიგო.

ისე, რუსთა წარმომადგენლობა ცოტათი მაინც შემცირდა, როცა დანიელა ჰანტუხოვამ მოულოდნელად იოლად გადაუარა დინარა საფინას, რომელსაც შტუტგარტში აშკარად არ წაუვიდა თამაში.

ქახა ლომაჯვილი



ბერნარდ ჰოპკინსი: მე ამერიკას მძიმე წონას დავუბრუნებ!

საშუალო წონაში ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი ამერიკელთა შელახული რეპუტაციის აღდგენას აპირებს და მძიმე წონაში დამყარებული პოსტსაბჭოური ჰეგემონიის დამხობას ესწრაფვის. ამისთვის ჰოპკინსს რინგზე დაბრუნება და WBC-ს ვერსიით ჩემპიონ ოლეგ მასკაევთან ბრძოლა გადაუწყვეტია. ამერიკელმა უკვე ყველაფერი გაარკვია HBO-სა (პროფესიული კრივის ჩვენების უფლებების მქონე ტელევიზია) და მსოფლიო კრივის საბჭოს ხელმძღვანელობასთან:

„მასკაევთან ჩემი ბრძოლის იდეა ყველამ მოიწონა, რადგანაც თვლიან, რომ ეს მაყურებელში დიდ ინტერესს გამოიწვევს. ახლა ჯერი მხოლოდ ოსკარ დე ლა ჰოიასა და რიჩარდ შეფერზეა (ჰოპკინსის პრომოუტერები), რომლებიც რაპაპორტს (მასკაევის პრომოუტერი) უნდა შეუთანხმდნენ. ჰოდა, თუ ეს მოხდა, კრივის სამყაროს კიდევ ერთხელ შევაზანზარებ. გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, ამ ბრძოლაზე ხმას არ ამოვიღებდი. მასკაევი სერიოზული მეტოქე კია, მაგრამ მას სუსტი მხარეებიც საკმაოდ აქვს, რომელთა გამოყენებაც კარგად შემიძლია“.

ყაზახური წარმოშობის რუსთან შესახვედრად და მძიმე წონაში გადასასვლელად ჰოპკინსს კილოგრამების მომატება მოუწევს. ამერიკელი ამჟამად 84 კგ-ს იწონის, მასკაევი კი — 91-ს. თუმც ჰოპკინსმა' უკვე დაითანხმა ცნობილი მწვრთნელი მეკი შილსტოუნი, რომელიც მას ზემო წონაში ასასვლელად დაეხმარება. სხვათა შორის, წლეულს ჰოპკინსს სწორედ შილსტოუნმა შეუწყო ხელი ნახევრადმძიმე წონაში ასასვლელად.

თუმც ეს ბრძოლა შედგება თუ არა, ძნელი სავარაუდოა. საქმე იმაშია, რომ ჰოპკინსი მის ჩატარებას მომავალი წლის ივნისამდე არ აპირებს. ამ დროისთვის კი შეიძლება, მასკაევს თავისი ტიტული უკვე დაკარგული ჰქონდეს — ყაზახი 10 დეკემბერს მოსკოვში პიტერ ოჰელოს შეხვდება, შემდეგ კი ტიტულის სავალდებულო დაცვითი ბრძოლის ჩატარება მოუწევს ჯეიმს ტონისა და სემუელ პიტერის მატჩ-რევანშის გამარჯვებულთან.

ჰოპკინსმა ეს შემთხვევაც გაითვალისწინა და განაცხადა, რომ თუ მასკაევი ტიტულს დაკარგავს, მაშინ ის რინგზე აღარ დაბრუნდება, რადგან არც როი ჯონს-უმცროსთან ჯახი და არც ანტონიო ტარვერთან რევანში არ აინტერესებს:

„ჯონსთან და ტარვერთან ჩხუბი არ მაინტერესებს. ეს ჩემს გეგმებში არ შედის. სხვა საქმეა მასკაევთან ბრძოლა — მხოლოდ მძიმე წონის პოსტსაბჭოელთაგან გადარჩენა ღირს ჩემს წვალებად“.

ქახა ლომაჯვილი

ვადა და ინტერპოლი დაძმობილდნენ

ლოზანაში მსოფლიოს ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ (ვადა) მსოფლიოს ანტიდოპინგური სიმპოზიუმი მოაწყო. მისი მსვლელობისას გამოცხადდა, რომ ვადა და ინტერპოლი აკრძალული პრეპარატების გაუვრცელებლობისთვის ერთად ითანამშრომლებენ. ამის თაობაზე ერთობლივი ოფიციალური კომუნიკე ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ლიონში, ინტერპოლის შტაბბინაში გამოაქვეყნეს.

2004 წელს ინტერპოლში საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბდა, რომელიც 16 ქვეყნის იმ უმაღლესი კლასის აგენტებისგან დაკომპლექტდა, ვისაც სადოპინგო და ნარკოტიკული პრეპარატების გავრცელების ქსელის გამოვლენის გამოცდილება ჰქონდა. ეს ჯგუფი ვადასგან, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან და ევროსაბჭოსგან დამოუკიდებლად, მათთან მჭიდრო კავშირების გარეშე მუშაობდა. ახლანდელი შეთანხმებით მზადდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ინტერპოლის აგენტთა და ვადას სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობის დეტალები განისაზღვრება.

ᲛᲔᲓᲚᲔᲒᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ოლიმპიურ ჩემპიონს კაცი შემოაკვდა

რუს სპორტის მოყვარულთა ერთ-ერთ სიამაყეს, 800 მეტრზე რბენაში ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ იური ბორზაკოვსკის ავტოავარია შეემთხვა, რის შედეგადაც კაცი იმსხვერპლა, ის და მისი ცოლი კი დაშავდნენ.

— იური ცოლთან, ირინასთან ერთად იმ ღამით მშობლების ოჯახიდან შინ „ჰონდა აკორდით“ ბრუნდებოდა — ამბობს იურის მწვრთნელი ვიაჩესლავ ევსტრატოვი — გაგარინის ქუჩაზე, სადაც გადასასვლელი არ იყო, წინმიმავალი მანქანის უკან მოულოდნელად კაცი გამოვარდა. იურიმ დამუხრუჭება სცადა, მაგრამ შეჯახება თავიდან ვერ აიცილა, თუმცა ნელა, საათში 60 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა. თავად იურის თითის ღია მოტეხილობა აქვს, ცოლს კი ხელფეხი ძალიან გადაეყვლიფა და მანქანაც დაიმტვრა. რა თქმა უნდა, იურიმ უმალ სასწრაფოც გამოიძახა და მილიციაც, მაგრამ, საუბედუროდ, ის კაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ეს რომ იურიმ გაიგო, შოკში ჩავარდა.

ახლა როგორც გარდაცვლილის, ისე იურის სისხლის შემადგენლობაში ალკოჰოლზე ექსპერტიზა ტარდება, თუმცა ბორზაკოვსკის, საერთოდ, მისი გემოც კი არ გაუსინჯავს.

2004 წელი. ათენი. იური ბორზაკოვსკი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა



ელისტაში მიმდინარე სატუალეტო სკანდალს, შესაძლოა კიდევ ერთი დაემატოს. ბულგარელი ვესელინ ტოპალოვის მხარე რუს ვლადიმირ კრამნიკს კვლავაც აფერისტობაში ადანაშაულებს. ტოპალოვის მენეჯერი სილვიო დანაილოვი აცხადებს, რომ კრამნიკის სვლების 87 პროცენტი კომპიუტერული პროგრამა fritz9-ისას ჰგავსო.

ბოლოს ტოპალოვმა ეტლით გაისეირნა

საპასუხოდ რუსის მენეჯერი კარსტენ ჰენზელი გამოვიდა და ბულგარელის მხარეს იქით დასდო ბრალი. მაქვს ინფორმაცია, რომ ტოპალოვის გუნდის წევრები კრამნიკის ოთახში ელექტრონული ხელსაწყოების შეტანას აპირებენ, რათა მერე ჩემი კლიენტი დაადანაშაულონო.

ასეთი დაძაბულობის მიუხედავად მერვე პარტია მაინც გაიმართა და 51-ე სვლაზე ტოპალოვის გამარჯვებით დასრულდა.

შეხვედრა კრამნიკმა თავისი საყვარელი ლაზიერის გამბიტით დაიწყო. დებიუტში ტოპალოვი გააქტიურდა, დედოფლის ფლანგზე პაიკიები წაწია წინ და თეთრებს დაემუქრა. კრამნიკმა ადვილად უკუაგდო ტოპალოვის შემოტევა, მეტოქეს რამდენიმე ფიგურა გაუცვალა და ეტლ-კუთი შუა ლაშქარში შეუვარდა. მოიერიშე მეომრებს რუსმა მეორე ეტლიც მიაშველა, მეტოქის არეულ რაზმს დაერია და აქეთ-იქით მიმოუფანტა. ტოპალოვმა მალევე შეძლო დაშლილი ლაშქრის დაწყობა, 46-ე სვლაზე ეტლით g ხაზიდან დაარტყა მეტოქეს და ხუთიოდ სვლაში შამათიც ჩაუსვა.

ანგარიში გათანაბრდა 4:4. დღეს მოჭადრაკეები დაისვენებენ და მე-9 პარტიას ხვალ გამართავენ. თეთრებით ტოპალოვი ითამაშებს.

ლაშა გეგეჭკორი

15 წლის შემდეგ აზმაიფარაშვილი დაბლა დაეშვა

ვესელინ ტოპალოვისა და ვლადიმირ კრამნიკის მატჩის დაწყებისთანავე ფიდემ ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა, რომლებშიც დიდი ცვლილებები არ მომხდარა, პირველ ადგილზე კვლავაც ფიდეს ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვია და კუდში ისევ ვიშვანათან ანანდი მისდევს. ერთი ნაბიჯით წინ წაიწია კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა, რომელმაც ტოპალოვთან მატჩამდე მთელ რიგ ტურნირებში იყოჩაღა და მესამე ადგილზე აინაცვლა.

დიდი გადაადგილებები მოხდა ქართველთა რეიტინგში — ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა, რომელიც 15 წლის მანძილზე პირველობდა, პოზიციები დათმო და მესამეზე ჩამოქვეითდა. პირველ ადგილზე ახლა ზვიად იზორიაა და მეორეადგილოსან ბაადურ ჯობავას მცირედით უსწრებს.

ქალთა კლასიფიკაციას ისევ იუდიტ პოლგარი ლიდერობს და მისი დამწევი კვლავაც არ ჩანს. ქართველებიდან საუკეთესო მაია ჩიბურდანიძეა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი 2504 ქულით მეექვსე პოზიციაზეა.

ლაშა გეგეჭკორი

კაცები

1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2813
2	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)	2779
3	ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)	2750
4	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	2750
5	ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	2747
6	ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	2741
7	ლევონ არონიანი (სომხეთი)	2741
8	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	2741
9	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	2735
10	ბორის გელფანდი (ისრაელი)	2733
11	თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	2729
12	შაჰრიაირ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	2728
13	დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	2725
14	ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	2720
15	ვლადიმერ აკოფიანი (სომხეთი)	2713
16	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	2710
17	ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	2710
18	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	2705
19	გატა კამსკი (აშშ)	2705
20	რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	2703
49	ზვიად იზორია (საქართველო)	2657
54	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	2650
73	ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო)	2638

ქალები

1	იუდიტ პოლგარი (უნგრეთი)	2710
2	ჰუმპუ კონერუ (ინდოეთი)	2545
3	ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)	2534
4	პია კრამლინგი (შვედეთი)	2528
5	იუჰუა ჰუ (ჩინეთი)	2517
6	მაია ჩიბურდანიძე (საქართველო)	2504
7	ჩენ ჟუ (ყატარი)	2501
8	ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი)	2493
9	ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)	2489
10	იფან ჰოუ (ჩინეთი)	2481
11	მონიკა სოცკო (პოლონეთი)	2473
12	მარი სებაქი (საფრანგეთი)	2471
13	ალისა გალიამოვა (რუსეთი)	2470
14	ზან ტრან ჰოანი (უნგრეთი)	2470
15	ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)	2469
16	იელენა დემბო (საბერძნეთი)	2468
17	ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი)	2468
18	იანგ ჩენი (ჩინეთი)	2468
19	ჰუე ძაო (ჩინეთი)	2467
20	კანინ ქინი (ჩინეთი)	2465
28	ქეთევან არახამია-გრანტი (საქართველო)	2446
36	ნანა ძაგნიძე (საქართველო)	2432
44	ნინო ხურციძე (საქართველო)	2419
45	ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)	2416

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge